

# ხარისხის გაუმჯობესების მდგომარეობა საქართველოში - მიღწევები და პრობლემები

---

კვლევის ანგარიში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
2010 წელი

ნინო ჯავახიშვილი - კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი  
სტუდენტები:

- ✓ ნანა ჭაბუკიანი
- ✓ მაგდა ჯავახიშვილი
- ✓ სოფიო გოგსაძე
- ✓ მანანა მაკარაძე



European Commission  
**TEMPUS**

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.  
წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების  
მოსაზრებას და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი  
წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

კვლევა ” ხარისხის გაუმჯობესების მდგომარეობა საქართველოში - მიღწევები და პრობლემები” განხორციელდა ტემპუსის პროგრამის საქართველოს ეროვნული ოფისის დაკვეთით 2010 წლის აპრილ - ივნისში.

ხარისხის უზრუნველყოფა შედარებით ახალი სამსახურია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში. ამჟამად, ყველა უნივერსიტეტს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მაგრამ საინტერესოა, რას მიაღწიეს მათ არსებობის 5 წლის მანძილზე<sup>1</sup>? უზრუნველყვეს ამ სამსახურებმა სწავლებისა და კვლევის ხარისხი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, რადგან ის მრავალ ასპექტს შეიცავს, ამიტომ, კითხვა უფრო მცირე საკვლევ კითხვებად დავშალეთ:

- რომელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიღწევები?
- რომელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ნაკლოვანი მხარეები?
- რა შეიძლება იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მომავალი არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე?

კითხვებზე პასუხის გასაცემად, გარდა არსებული სიტუაციის შესწავლისა, მიმოვიხილეთ რელევანტური ლიტერატურა და მასალები, მათ შორის დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება. განვიხილეთ დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის გამოცდილება, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის ყველაზე განვითარებული მოდელის ნიმუშს წარმოადგენს, გარდა ამისა, ირლანდია ზომით ისეთივე მცირე ქვეყანაა, როგორც საქართველო; და ესტონეთის გამოცდილება, რომელსაც ჩვენთან საერთო საბჭოთა წარსული აქვს.

### **ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დიდ ბრიტანეთში (ინგლისი, უელსი და ჩრდ. ირლანდია, შოტლანდიის გარდა )**

ხარისხის უზრუნველყოფა ბრიტანეთში პირველ რიგში უნივერსიტეტის ვალდებულებას წარმოადგენს. უნივერსიტეტებში ერთმანეთში განსხვავებული სისტემები მოქმედებენ, თუმცა ისინი, როგორც წესი, მსგავს მექანიზმებს ითვალისწინებენ. ამასთან ერთად, ბრიტანეთში მოქმედებს ხარისხის შეფასების გარე სისტემა, რომლის ძირითად კომპონენტს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო წარმოადგენს.

უნივერსიტეტები გარეშე პირების/სააგენტოების მონაწილეობით ახორციელებენ პროგრამების მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას. მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ პროგრამაზე პასუხისმგებელი პროფესორების მიერ. პროცედურა ითვალისწინებს გარე ექსპერტების (სხვა აკადემიური დაწესებულებების და აკრედიტაციის გამცემი პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლების) ჩართვას. ასევე მხედველობაში მიიღება უკუკავშირი სტუდენტების და აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, შესაბამისი

---

<sup>1</sup> ხარისხის უზრუნველყოფის პირველი სამსახური გაჩნდა თსუ-ში 2005 წელს, სხვა უნივერსიტეტებში ეს სამსახურები გაჩნდა ან იმავე წელს, ან მოგვიანებით.

პროფესიული ასოციაციის მხრიდან. პერიოდული შეფასება ყოველ ხუთ წელიწადს მზადდება. როგორც წესი, უნივერსიტეტი შეფასებას გარე ექსპერტს ანდობს.

გარე ექსპერტების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. პროგრამების გადახედვა/განვითარება ძირითადად ექსპერტების ანგარიშის საფუძველზე ხდება. შეფასების დროს, ექსპერტები სხვა პროგრამების შეფასების დროს მიღებულ გამოცდილებას ეყდობიან; ასევე ისინი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ დადგენილი შეფასების სტანდარტებით ხელმძღვანელობენ. ისინი აფასებენ:

- აკადემიური სტანდარტების ადეკვატურობას პროფესიულ სტანდარტებთან მიმართებაში
- სტუდენტებისადმი წამოყენებულ მოთხოვნათა და შეფასების სტანდარტების ადეკვატურობას
- სხვა უნივერსიტეტებში მიღებულ პრაქტიკასთან შესაბამისობას

ასევე, ექპერტთა მიზანი ე.წ. "საუკეთესო პრაქტიკების" გამოვლენაა.

ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამა აკრიდიტებულია როგორც უნივერსიტეტის, ასევე შესაბამისი პროფესიული ასოციაციის ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (მაგალითად, General Medical Council-ი ახდენს მედიცინის სფეროში არსებული პროგრამების აკრედიტაციას). ზოგ შემთხვევაში, ასეთი აკრედიტაცია პროგრამის დამთავრებულებს პროფესიული გამოცდისგან თავის არიდების საშუალებას აძლევს. ასოციაცია ან მარეგულირებელი ორგანო ჩართულია როგორც პროგრამის შექმნაში, ასევე მის მონიტორინგსა და შეფასებაში. ასოციაცია/მარეგულირებელი ორგანო აკრედიტაციას გარკვეული ვადით (საშუალოდ 5 წლით) იძლევა, რის შემდეგაც ხორციელდება პროგრამის შეფასება აკრედიტაციის გამცემის მხრიდან.

შეფასების პროცესში დამსაქმებელთა ჩართვა სხვადასხვა ფორმით ხდება. მოქმედებენ ე.წ. საშუამავლო ჯგუფები, რომლებიც უნივერსიტეტის და კონკრეტული დარგის წარმომადგენლებს აერთიანებს. ასევე, ეწყობა გამოკითხვები, რომლებშიც დამსაქმებელი მონაწილეობენ.

სტუდენტების ჩართვას შეფასების პროცესში სამი ფორმა აქვს. ხარისხის შეფასების სააგენტო და სტუდენტთა გაერთიანება (National Union of Students) აწყობენ ერთობლივ ტრენინგს სტუდენტური თვითმართველობების ლიდერებისთვის. ტრენინგის მიზანია დაეხმაროს სტუდენტურ ლიდერებს შეფასების პროცესში უფრო ეფექტურად ჩართვაში. ყოველწლიურად, ქვეყნის მასშტაბით ტარდება სტუდენტთა საერთო ეროვნული გამოკითხვა. გამოკითხვა დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მოიცავს. მისი შედეგები ინტერნეტით არის ხელმისაწვდომი (<http://unistats.direct.gov.uk/>), რაც დაინტერესებულ პირებს კონკრეტულ უნივერსიტეტებს შორის არჩევანის გაკეთებაშიც ეხმარება. ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ ასევე წახალისებულია წერილობითი უკუკავშირი სტუდენტ ლიდერების მხრიდან.

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (Quality Assurance Agency) უნივერსიტეტების მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია. მისი დაფინანსება ძირითადად საწევროების, ასევე შემოწირულობების და მცირე დოზით, სახელმწიფო სუბსიდიების მეშვეობით ხორციელდება. სააგენტოს მიერ გაკეთებულ დასკვნებს დიდი წონა გააჩნია; მან კონკრეტული უნივერსიტეტის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების ბედიც შეიძლება გადაწყვიტოს. სააგენტო პირველ რიგში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემების შეფასებას ახდენს. შეფასების ძირითად ფორმას ე.წ. ინსტიტუციური აუდიტი წარმოადგენს, რომელსაც სააგენტოს მიერ მოწვეული ექსპერტები ახორციელებენ. აუდიტის შედეგები საჯაროა. უნივერსიტეტები ვალდებულიები არიან შემდომი რეაგირება მოახდინონ აუდიტის შედეგებზე და მასზე დაყრდნობით, შექმნან სამოქმედო გეგმა, რომელშიც განვითარების ძირითადი მიმართულებები იქნება წარმოდგენილი. სააგენტო ასევე ახორციელებს სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგს.

### **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა კორკის უნივერსიტეტში (ირლანდია)**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შემდეგ პრინციპებს ეყრდნობა:

- სტუდენტთა ინტერესების, მათი გამოცდილების გთვალისწინება
- ხარისხზე ყველა თანამშრომლის პასუხისმგებლობა
- ხარისხის გაუმჯობესება ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია
- გარე შეფასების ჩართვა

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნივერსიტეტის შიგნით მოიცავს შემდეგ ორგანოებს: 1) უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს (საუნივერსიტეტო თვითმმართველობის ორგანო) 2) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ადმინისტრაციის ნაწილს წარმოადგენს, და 3) პროგრამის ან ფაკულტეტის ხარისხის შეფასების მაკოორდინირებელ ჯგუფს.

შეფასება სამ დონეზე ხორციელდება: აკადემიური პროგრამის, ფაკულტეტის (department) და ერთეულის (unit) დონეზე. შეფასების სრული ციკლი 6 წელს მოიცავს, რომლის განმავლობაშიც ყველა ფაკულტეტი, ერთეული და პროგრამა უნდა შეფასდეს. მთლიანად პროცესი ორ კომპონენტს მოიცავს: 1) შიდა შეფასება, რომელიც პროგრამის/ფაკულტეტის/ერთეულის საკუთარი ძალებით ხორციელდება; 2) გარე შეფასება, რომელშიც სხვა ფაკულტეტების და უნივერსიტეტების წარმომადგენლები არიან ჩართულნი.

შიდა შეფასებაზე პროგრამის/ფაკულტეტის/ერთეული შეფასების მაკოორდინირებელი ჯგუფი არის პასუხისმგებელი. შეფასებისას ერთ-ერთ წყაროდ თანამშრომლებს/სტუდენტებს შორის ჩატარებული გამოკითხვა წარმოადგენს, რომელიც შეფასების სამსახურის მიერ დაწესებულ სტანდარტებს მისდევს. პროცესი ე.წ. SWOT (strengths, weaknesses, opportunities, threats) ანალიზის სქემის მიხედვით წარიმართება. შეფასების შედეგად იქმნება ანგარიში, რომელიც რეკომენდაციებსაც შეიცავს.

გარე შეფასებას ოთხი ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფი ახორციელებს. აქედან ორი, მათ შორის თავჯდომარე, კორკის უნივერსიტეტს წარმოადგენს; ერთი წევრი სხვა ირლანდიური უნივერსიტეტიდან არის მოწვეული, ერთი კი უცხოელი ექსპერტია. ჯგუფი განიხილავს შიდა შეფასების ჯგუფის ანგარიშს, სწავლობს მის მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს და ზოგად ვითარებას. გარე შეფასების ჯგუფი ასევე წერს ანგარიშს და აყალიბებს რეკომენდაციებს. ორივე ჯგუფის ანგარიში შეესაბამება იმ ფორმატს, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ქმნის. გარე შეფასების ანგარიში, შეფასების კომიტეტის და რექტორის მხრიდან დამტკიცების შემდეგ ქვეყნდება. შესაბამისი ფაკულტეტი/პროგრამა/ერთეული ვალდებულია ყოველწლიურად წარმოადგინოს ანგარიში რეკომენდაციების განხორციელების შესახებ.

### **ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ესტონეთში**

ყველა უნივერსიტეტს გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, თუმცა კონკრეტული მექანიზმები განსხვავდება. 2009 წლიდან მოქმედებს რექტორთა კონფერენციის ინიციატივა, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების მონიტორინგს და დაახლოებას გულისხმობს. სახელმწიფოს მხრიდან პროგრამების აკრედიტაციის პროცედურა თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას გულისხმობს. ამიტომ, შიდა შეფასების სისტემა ძირითადად აკრედიტაციის პროცედურასთან არის დაკავშირებული. ამჟამად როგორც სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ ცოდნის დონის გაზრდაზე მიმართული პროექტები.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია უმაღლესი განათლების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის ესტონური სააგენტო, რომელიც 2009 წლიდან მოქმედებს და პასუხისმგებელია როგორც აკრედიტაციაზე, ასევე ხარისხის უზრუნველყოფაზე ზოგადად. სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს, რომლის დამფუძნებელი და დამფინანსებელი განათლების და კვლევების სამინისტროა. ხარისხის უზრუნველყოფის გარე სისტემა ძირითადად ოთხი კომპონენტისგან შედგება: 1) თვითშეფასება (პროგრამის დონეზე) 2) საერთაშორისო ექსპერტების ვიზიტი - ექსპერტები სხვა, ძირითადად სკანდინავიის ქვეყნებიდან ჩამოდიან. როგორც წესი, ისინი შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი პროფესორები არიან და 3) სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი, რომელიც უმაღლესი დაწესებულების საქმიანობის კანონთან შესაბამისობას ამოწმებს 4) სააგენტოს წარმომადგენლების ვიზიტი, რომელიც საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციის შესრულების ხარისხს ამოწმებს.

მიუხედავად არსებული განსხვავებებისა, 3-ვე ქვეყნის მაგალითი აჩვენებს, რომ უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები პროაქტიულები არიან, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ უნივერსიტეტების ანგარიშის სააგენტოებში წარდგენით არ მთავრდება საქმე, სააგენტო შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც შემდგომში უნივერსიტეტი ითვალისწინებს.

## მეთოდика

გამოვიყენეთ შემთხვევის შესწავლის მეთოდი. ინტერვიუების გზით შევისწავლეთ 7 უნივერსიტეტი და ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი. თვისებრივი მონაცემები კონტენტ-ანალიზის მეთოდით დამუშავდა. გარდა ამისა, შევისწავლეთ ამ დაწესებულებების დოკუმენტაცია მათი ვებგვერდების საშუალებით. გავეცანით რელევანტურ ლიტერატურას, როგორც სამეცნიერო სტატიებს, ასევე პრაქტიკული ტიპის მასალას, საიდანაც შესაძლებელია დასავლური გამოცდილების გაცნობა.

19 ჩაღრმავებული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - აკრედიტაციის ცენტრი) და საქართველოს 7 უმაღლეს სასწავლებელში. ყველა ეს უნივერსიტეტი სამსაფეხურიან განათლებას იძლევა, შეაბამისად, საკვლევი უნივერსიტეტებია. შევეცადეთ საქართველოში არსებული ამ ტიპის უნივერსიტეტების მთელი სპექტრი მოგვეცვა, კერძოდ, შერჩევაში თანაბრად და წარმოდგენილი ცენტრალური და რეგიონული, კერძო და საჯარო უნივერსიტეტები, ასევე, რიგი მათგანი მცირე ზომისაა, ხოლო რიგი - დიდი ზომის. მაგალითად, თსუ-ს 20 000-მდე სტუდენტი ჰყავს, ხოლო ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტს - სულ 444:

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 18 294 სტუდენტი, ცენტრალური, საჯარო
- ილიას უნივერსიტეტი - 8 593 სტუდენტი, ცენტრალური, საჯარო
- კავკასიის უნივერსიტეტი - 1 566 სტუდენტი, ცენტრალური, კერძო
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 1 982 სტუდენტი, რეგიონული, საჯარო
- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 6 344 სტუდენტი, რეგიონული, საჯარო
- ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი - 444 სტუდენტი, რეგიონული, კერძო
- თავისუფალი უნივერსიტეტი - 634 სტუდენტი, ცენტრალური, კერძო

თითოეული უნივერსიტეტიდან 2 წარმომადგენელი გამოვკითხეთ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ან თანამშრომელი და პროფესორი. თსუ-ში გამოვკითხეთ 2 პროფესორი, ხოლო ილიას უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის 2 თანამშრომელი, სულ 3-3 წარმომადგენელი. აკრედიტაციის ცენტრში გამოვკითხეთ 3 თანამშრომელი და 1 აკრედიტაციის საბჭოს წევრი<sup>2</sup> (რესპონდენტების ჩამონათვალი და კითხვარები იხილეთ დანართებში). პროფესორები შევისწავლეთ იმიტომ, რომ ისინი განათლების პროცესის ძირითადი აგენტები არიან. სპეციალურად შევარჩიეთ ისეთი პროფესორები, რომლებსაც აქვთ გარკვეული დასავლური გამოცდილება და მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ თავიანთი

<sup>2</sup> სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი არის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო გადაწყვეტილებებს იღებს აკრედიტაციის საბჭო, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე/ვოლონტიორული პრინციპით მუშაობს. მის შემადგენლობაში შედიან უნივერსიტეტების წარმომადგენლები და უმაღლესი განათლების ექსპერტები.

უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან და შესაბამისად, შეუძლიათ დაახასიათონ ისინი.

19 ინტერვიუს ტრანსკრიპტი დაიწერა და შემდგომ კონტენტ-ანალიზის მეთოდით დამუშავდა.

## შედეგები

### ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დახასიათება სამსახურის უფროსების და თანამშრომლების მიერ

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების აღწერა, დახასიათება.

#### *დაარსება/მუშაობის დაწყება*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა საქართველოს უნივერსიტეტებში მუშაობა დაიწყეს 2005-2006 წლებში, თუმცა ერთ-ერთ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის დაწყების სავარაუდო თარიღად ასახელებს 2001 წელს.

“...მგონი 2001 წლის 1 სექტემბრიდან, ზუსტად არ მახსოვს.” (ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი)

#### *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების სტრუქტურა*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების სტრუქტურა გულისხმობს “გეოგრაფიულ” განწილებას, ფაკულტეტების მიხედვით, ან “ფუნქციურს” - მოვალეობების მიხედვით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების სტრუქტურა ძირითადად აგებულია ერთი ხელმძღვანელის და რამდენიმე სპეციალისტის, თანამშრომლის მონაწილეობაზე, რომლებიც სპეციფიური ფუნქციების მიხედვით არიან წარმოდგენილნი: უნივერსიტეტის სტრუქტურიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიძლება შედიოდნენ ცალკეული სკოლების, დეპარტამენტების წარმომადგენლები, ასევე მობილობის პროცესზე პასუხისმგებელი, დიპლომებსა და სხვა დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელი სპეციალისტი. ზოგი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოიცავს რამდენიმე განყოფილებას, მაგალითად ცალკე გამოყოფა სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა და კვლევების განყოფილება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეიძლება შედიოდეს სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური, როგორც ეს არის კავკასიის უნივერსიტეტში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების რაოდენობა უნივერსიტეტში შეიძლება იყოს 1-დან 20-მდე. პატარა უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების რაოდენობა შედარებით შეზღუდულია, განისაზღვრება 1-დან 4-მდე ადამიანით, ხოლო დიდ უნივერსიტეტებში 20-მდე აღწევს.

#### *მიმართება უნივერსიტეტის სტრუქტურასთან*

მთლიანად უნივერსიტეტის სტრუქტურაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაძლოა ექვემდებარებოდეს კანცლერს - ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ასევე აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს ან პრორექტორის წინაშე იყოს პასუხისმგებელი, იმის მიხედვით, როგორია თავად უნივერსიტეტის სტრუქტურა. თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ნებისმიერ შემთხვევაში ცალკეა



გამოყოფილი დეპარტამენტებისგან ან ფაკულტეტებისგან და მათზე მაღალი ან მათი მსგავსი/ტოლი იერარქიული მდგომარეობა უკავია.

**თანამშრომლები:**

**თანამშრომლების შერჩევა**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში პერსონალის შერჩევა ძირითადად ხდება კონკურსის წესით. გამოცდილების და ცოდნის მიხედვით. თუმცა ასევე შეიძლება მოხდეს კონკურსის გარეშე, სამსახურის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე, ან არჩევის წესით (მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირჩევენ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს, რომლებიც, ამავე დროს, ასოცირებული ან სრული პროფესორები არიან).

**ადმინისტრაციული და აკადემიური საქმიანობის განაწილება**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები უმეტეს დროს უთმობენ ადმინისტრაციულ საქმიანობას. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ითავსებს პარალელურად აკადემიურ საქმიანობას. თუმცა, ძირითადად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები სრული სამუშაო დროით ჩართული არიან სამსახურის საქმიანობაში.

*”ზოგადად ადმინისტრაციულ საქმიანობას უფრო მეტ დროს ვუთმობ, ვიდრე აკადემიურ საქმიანობას.”* (თავისუფალი უნივერსიტეტი).

*”პროცენტულად ვერ გადავანაწილებ. ალბათ, უმეტესად ადმინისტრაციულზე.”*

(იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

*“ საქმიანობის განაწილება დიდწილად ადმინისტრაციულზე მოდის, 6 სთ./ 34 სთ.ზე არის ჩემთვის და სკოლის წარმომადგენლისთვის, ხოლო ორი თანამშრომელი მთლიანად ადმინისტრაციული საქმიანობითაა დაკავებული.”* (კავკასიის უნივერსიტეტი).

*” ალბათ ადმინისტრაციულ საქმიანობას უთმობს უმეტეს წილს...”* (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

*“ალბათ 25 პროცენტი - აკადემიური დრო და 75 პროცენტს - ადმინისტრაციულს.”* (ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი)

*” ალბათ 50%/50% - ადმინისტრაციული და აკადემიური.”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

**კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა**

ზოგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში თანამშრომლები მონაწილეობენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ კონფერენციებსა თუ სემინარებში, ხოლო ზოგი - მხოლოდ საქართველოში გამართულში. კონფერენციებში მონაწილეობა ფიქსირდება ძირითადად ინდივიდუალურ მონაცემებში (კურიკულუმ ვიტა); ასევე არის შემთხვევები, როდესაც შესაბამისი დოკუმენტაცია არ მზადდება, თუმცა ხდება კონფერენციის, სემინარის შესახებ ზეპირი მოხსენების გაკეთება, კოლეგებისთვის ინფორმაციის გადაცემა.

**ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებისთვის**

საქართველოს უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხანმოკლე არსებობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა შეიძინონ ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც

დაეხმარება მათ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის სპეციფიური ფუნქციების შესრულებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების უმეტესობა აღნიშნავს, მათი თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარების მნიშვნელოვნების შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს მათი თანამშრომლებისთვის საჭირო ტრენინგებად მიაჩნიათ სწავლების პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ტრენინგი, განსაკუთრებით სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, საბოლოო გამოცდების ჩატარების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

*”სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, შეფასების ფორმების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, ეს ორი, - არის ყველაზე აქტუალური... ისე ნებისმიერი ტიპის ტრენინგი არის მნიშვნელოვანი.”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

*“ ტრენინგი მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების შესახებ წესების შესწავლისთვის, ტრენინგის კომპეტენციათა რუკა მოითხოვს ჩაღრმავებას და დარგების მიხედვით პროგრამის ფორმირებას... არ არის ამის გამოცდილება, ამიტომ ასეთი ტრენინგია საჭირო. “* (კავკასიის უნივერსიტეტი)

*“კარგი იქნებოდა უტარებდნენ ტრენინგს, როგორ შეაფასონ შედეგები, რომლებიც გაწერილია პროგრამაში...”* (ილიას უნივერსიტეტი).

*“ალბათ სწავლების ხარისხის მონიტორინგთან დაკავშირებით.”* (ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი)

ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების ნაწილს კარგად ჩამოყალიბებული არა აქვთ მოსაზრებები საჭირო ტრენინგების შესახებ.

*”ნებისმიერი ტიპის, რომელიც დაკავშირებულია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებასთან, კონკრეტულად ვერ გეტყვით...@”* (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

### **ინფორმაციის საჯაროობა**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების შესახებ ინფორმაცია არის მეტ-ნაკლებად საჯარო და სრული, იმის გათვალისწინებით, რა ტიპის უნივერსიტეტთან გვაქვს საქმე. ძირითადად საჯაროობის ფორმა გამოიხატება ვებ გვერდზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინფორმაციის განთავსებით:

*”დახურული არის მარტო პროგრამების შეფასება ექსპერტების მიერ, ის არის ძალიან მკაცრად ანონიმური და სტუდენტები რას წერენ ლექტორებზე, ესეც გასაიდუმლებულია, დანარჩენი აბსოლუტურად ღია ინფორმაციაა,.. ყველაფერი დევს ვებ გვერდზე.”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლების განცხადებით, საჯაროობაში შეიძლება ვიგულისხმოთ მათი მზაობა, ნებისმიერ მსურველს მისცენ მათ სამუშაოზე დაკვირვების, ან მათთან გასაუბრების შესაძლებლობა. მაგალითად, ინფორმაცია, თავისუფალი ინფორმაციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესახებ, არ არის განთავსებული ვებ. გვერდზე. თუმცა, აღნიშნული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მასთან უშუალო ურთიერთობის, დეპარტამენტის და სისტემის მუშაობაზე დაკვირვების გზით.

“ნებისმიერი, ვინც დაინტერესდება, შეუძლია შემხვედეს და მესაუბროს ამის შესახებ, ... ვთავაზობ, რომ მოვიდეს, ჩემთან ერთად იჯდეს, რომ ნახოს როგორ მუშაობს დეპარტამენტი და როგორ მუშაობს თვითონ სისტემა.” (თავისუფალი უნივერსიტეტი) ასევე, ერთ-ერთი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი ინფორმაციის საჯაროობად თვლის ანგარიშის აკრედიტაციის ცენტრისთვის მიწოდებას.

“გარკვეულწილად ჩვენი ანგარიში არის თვითშეფასების ანგარიში... ვებ გვერდზე არ ვათავსებთ, მაგრამ საჯაროდ იმ კუთხით შეიძლება ჩაითვალოს, რომ ვუზღავნით აკრედიტაციის სამსახურს.” (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები, (არის შემთხვევა, როდესაც ასეთი ანგარიში ყოველ 6 თვეში ერთხელ დგება) ძირითადად განიხილება აკადემიური საბჭოს სხდომებზე უნივერსიტეტის შიგნით, და შემდეგ საჯარო ხდება ვებ გვერდის მეშვეობით.

### **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობა.**

#### **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგია**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს აქვთ თავისი სტრატეგია, რომელიც მთლიანად უნივერსიტეტის მისიასთან არის შეთანხმებული და მოიცავს ძირითად სამოქმედო გეგმას, მიზნების და ამოცანების, შეფასების ინდიკატორების და წყაროების განსაზღვრას. ძირითადად, სტრატეგია წინასწარ, მეტ-ნაკლები სიზუსტით არის გაწერილი დოკუმენტაციაში, თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც სტრატეგია, როგორც მიზანი, არის განსაზღვრული, ხოლო მისი მიღწევის საშუალებები – არა.

“სტრატეგია არის ერთი – რომ ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს, და დღითი-დღე უნდა აუმჯობესდეს, ხოლო რა მეთოდებს ვიყენებთ ამაში, ეს უკვე შიდა სამუშაო პროცესში ჩნდება და იკვეთება...” (თავისუფალი უნივერსიტეტი.)

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, მათ აქვთ სტრატეგია, ეს არის, – ხელშეწყობა, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დონის ამაღლებისთვის.

“ხელშეწყობა, საგანმანათლებლო პროგრამების იმ დონეზე აყვანის, რაც ჩვენ გვჭირდება...” (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, მათი სტრატეგია, გამომდინარე უნივერსიტეტის მისიიდან, არის არსებული პროგრამების დახვეწასა და ახლის შექმნაზე ორიენტირებული. მისია კი, თავის მხრივ, გულისხმობს “ცოდნაზე, კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას”.

“სტრატეგია გვაქვს – განვითარებისკენ, ჩვენი მისიაა ცოდნაზე, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, გვაქვს სადოქტორო, სამაგისტრო პროგრამები, ვმუშაობთ მათ დახვეწაზე, ახლის შექმნაზე...” (კავკასიის უნივერსიტეტი)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, კითხვაზე თუ “რა სტრატეგია აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მათ უნივერსიტეტში?” – პირდაპირ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო დოკუმენტზე საუბრით პასუხობს. ამასთან, მისი განცხადებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიის საუნივერსიტეტო სტრატეგიისგან გამოყოფის შესახებ, ჯერ კიდევ არ არის მიღებული გადაწყვეტილება.

” არსებოს ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიის სამუშაო დოკუმენტი , რომლებიც დაგზავნილია ფაკულტეტებზე განსახილველად, რომელიც აკადემიურმა საბჭომ მიიღო. ერთი წელია დაიგზავნა შარშან აგვისტო-სექტემბრის დასაწყისში. ჯერჯერობით ვერ შევთანხმდით ცალკე გაკეთდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგია თუ ეს იქნება დიდი საუნივერსიტეტო სტრატეგიის ნაწილი.” (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ილიას უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალი სტრატეგიის შემუშავება ხდება, რაც მათი ახსნით, უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ილის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგია არ არის განთავსებული მათ ვებ გვერდზე.

“ ჩვენი სტრატეგია ამ წუთას გადახალისების პროცესშია, რადგან შემუშავდა ორ ნახევარი წლის წინ, ჩვენი მიზანი, მაშინ დასახული, პრინციპში უკვე მიღწეულია, ამიტომ გადავდივართ ახლის შემუშავების ეტაპზე...” (ილიას უნივერსიტეტი).

ჩვეულებრივ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიის განხილვასა და შექმნაში არ მონაწილეობენ პროფესორები, თუ ისინი არ არიან ასევე აკადემიური საბჭოს წევრები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიას შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც განიხილავს მასთან დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად.

” განხილვა ხდება ჩვენს სტრუქტურულ ქვედანაყოფში.” (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

” სამუშაო დოკუმენტს შეიმუშავებს ხარისხის სამსახურის უფროსი და ხდება მისი ღია საჯარო განხილვა ხარისხის სამსახურის საფაკულტეტო წარმომადგენლებთან. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

“სტრატეგიული გეგმის განხილვა ხდება ჩვენს სამსახურში. სამსახური განიხილავს ჩემთან ერთად, ბიბლიოთეკასთან ერთადაც, ანუ იმ სტრუქტურულ სივრცესთან ერთად, რომელთანაც მჭიდროდ თანამშრომლობს და აუცილებლად აკადემიურ საბჭოსთან ერთად... მათ (შენიშვნა: იგულისხმება პროფესორები) იმიტომ ყავთ წარმომადგენლები აკადემიურ საბჭოში, რომ ამის შესახებ მათ უნდა თქვან...” (ილიას უნივერსიტეტი).

მხოლოდ თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი აცხადებს, რომ პროფესორების აზრის გათვალისწინება ხდება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწოდებული ხარისხის ამბლები სტრატეგია არ იქნებოდა ეფექტური. თუმცა ძნელია იმის თქმა, როგორ ხდება პროფესორების მოსაზრებების გათვალისწინება, რითი ვლინდება.

“რა თქმა უნდა, პროფესორს, რომელიც არის საგნის სპეციალისტი, როგორ შეიძლება მოახვიო რაღაცა მეთოდოლოგია თავზე თუ არ გაითვალისწინე მისი აზრი... მე უბრალოდ ამას ორგანიზებას, მენეჯმენტს ვუკეთებ, რომ უნივერსიტეტის სტრატეგია იყოს ჩამოყალიბებული და არ მოხდეს რომ ყველა თავთავის საქმეს არ აკეთებდეს. “ (თავისუფალი უნივერსიტეტი)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიის შემუშავებაში არ მონაწილეობენ სტუდენტები.

...“სტრატეგიის შემუშავებაში სტუდენტები არ არიან ჩართული.” (ილიას უნივერსიტეტი).

## **დასავლური გამოცდილების გამოყენება**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უმეტესობას, სტრატეგიის გეგმის შემუშავებისას, არ უსარგებლია რომელიმე, მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის გამოცდილებით, არამედ ძირითადად ევროპული და ზოგჯერ ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილებით და მათი საკუთარი უნივერსიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

*“უბრალოდ ვსარგებლობთ ცალკეული სააკრედიტაციო ცენტრების დოკუმენტებით და პროცედურებით... ბევრი უნივერსიტეტისგან გამოცდილება გავითვლისწინეთ, მაგრამ კონკრეტულად ერთი რომ გადმოგველო, ასე არ გაგვიკეთებია.”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები აცხადებენ, ისინი ხშირად ვებ გვერდის მეშვეობით ცდილობენ გაეცნონ სხვადასხვა ქართული და ზოგჯერ უცხოური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების შესახებ ინფორმაციას და მათთვის სასარგებლო მასალები, ინფორმაცია გამოიყენონ, თუმცა არა პირდაპირი გადმოტანის გზით, არამედ გადამუშავების შემდეგ.”

*“გვისარგებლია, - ნაკლებად, მაგრამ სისტემატურად ვახორციელებთ სხვა უნივერსიტეტის საიტების და თუ გამოჩნდება რაიმე საინტერესო შეიძლება იქედან ვიხელმძღვანელოთ. პირდაპირ არ გადმოგვიტანია.”* (ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი)

ილიას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, სპეციფიური მისიიდან (აქცენტი კვლევაზე) გამომდინარე, მათ არ უსარგებლიათ რომელიმე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის მოდელით.

*“არა, იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან სპეციფიური მისია გვაქვს, რომელიც სხვებს არა აქვთ ასე... მისიაში ვიცი, რომ ნამდვილად არა გვაქვს არაფერი გამოყენებული და სამოქმედო გეგმაზე არ ვიცი როგორ იქნება.”* (ილიას უნივერსიტეტი)

მხოლოდ კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დაასახელა კონკრეტული, შესაძარი უნივერსიტეტი, და ასევე აღნიშნა, სხვა უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარების შესახებ.

*“შესაძარი უნივერსიტეტი გვაქვს ატლანტის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ჯორჯიის), გვყავს სხვა პარტნიორი უნივერსიტეტები და მათთანაც ვთანამშრომლობთ, პროგრამები შეგერებულა შესაბამისად... “* (კავკასიის უნივერსიტეტი).

## **სტუდენტებისა და ლექტორების ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობებში**

ყველა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობაში გარკვეულწილად ჩართულნი არიან სტუდენტები და ლექტორები.

უმეტესობა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობა გულისხმობს სტუდენტების მონაწილეობას ლექტორის შეფასების, ან სხვა ტიპის შეფასების ფორმის შევსებაში,

*“უფრო ნაკლებია, ვიდრე უნდა იყოს. ამ ეტაპზე სტუდენტები ჩართული გვყავს სასწავლო კურსების შეფასების პროცესში, ჯერჯერობით ცოტაა მათი მონაწილეობა პროგრამების განხილვის პროცესში და მომავალში ვაპირებთ მეტად ჩავრთოთ პროგრამების განხილვაში.”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

“სტუდენტების ჩართულობა მაინცდამაინც დიდი არ არის. ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მინიმუმ წელიწადში ორჯერ ასეთი სახის გამოკითხვები ეწყობა.” (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

სტუდენტების მიერ მსგავსი შეფასებების წარმოებაში მონაწილეობა, ხშირ შემთხვევებში, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ხდება ინტერნეტის მეშვეობით და როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლები აცხადებენ, ეს არ არის საკმარისი, ისინი გეგმავენ სტუდ-კავშირის დახმარებით ერთი სტუდენტი მოიძიონ და ჰყავდეთ, როგორც წარმომადგენელი მათ სამსახურში.

“ამ ბოლო პერიოდში ვთხოვეთ სტუდენტებს, რომ წარმომადგენელი, ფაკულტეტების დონეზე იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.” (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, სტუდენტებს ჰყავთ ასეთი წარმომადგენელი.

“სისტემატურად ვითვალისწინებთ მათ მოსაზრებებს, რომელიც მათი წარმომადგენლის საშუალებით მოაქვთ ჩვენამდე.” (ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი).

რაც შეეხება ლექტორების ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროცესებში, განსხვავდება აკადემიური პერსონალის ხარისხის და აკადემიურთან ერთად მისი ადმინისტრაციული პოზიციის მიხედვით.

“გარკვეულწილად კომიტეტი შედგება აკადემიური პერსონალისგან, რომელსაც ვირჩევთ და აქედან გამოდინარე ჩართულნი არიან ამ პროცესებში.” (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

“ლექტორები, აკადემიურ საბჭოზე, ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა გადაწყვეტილების მიღებაში. ეს არიან მიმართულების ხელმძღვანელები.” (თავისუფალი უნივერსიტეტი).

უფრო ინტენსიურია ურთიერთობა პროგრამის ხელმძღვანელებთან.

“უფრო ინტენსიურია პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობა, პროგრამები პროფესორების მიერ იქმნება, მერე ჩვენ გვაწვდიან...” (კავკასიის უნივერსიტეტი)

ლექტორების ჩართულობა ფორმალურად განისაზღვრება სილაბუსების, კურიკულუმების მომზადებით და დამუშავებით.

“ყველა სილაბუსი, რომელიც ამა თუ იმ პროგრამის განხორციელებას ჭირდება მათ მიერ არის შედგენილი. მათი აზრი არის იქ მთავარი.” (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

ილიას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის თანახმად, ლექტორების ჩართულობაში ასევე მოიაზრება მათი წარმოდგენების, ხედვების გაცნობა, მათგან გარკვეული ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ რა კვლევითი პრიორიტეტები გააჩნიათ.

“პროფესორებთან ვატარებთ ჩაღრმავებულ ინტერვიუებს, რომ დავადგინოთ მათი კვლევითი პრიორიტეტები, მათი განვითარების ხედვა და ა.შ.” (ილიას უნივერსიტეტი).

კავკასიის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების გათვალისწინება, პროფესორების მიმართ პირდაპირი მოთხოვნა და ვალდებულებაა, ხოლო სხვა დანარჩენ უნივერსიტეტებში – არა. პროფესორების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინსტრუქციების შესრულება მათი ნება და საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებაზე ზრუნვის მოტივაციაა.

## **თანამშრომლობა აკრედიტაციის ცენტრთან**

ყველა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აცხადებს, რომ აქტიურად თანამშრომლობს აკრედიტაციის ცენტრთან, რაც ცენტრის მიმართ უნივერსიტეტის გარკვეულ ვალდებულებებს უკავშირდება, კერძოდ თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას.

*”პირველ რიგში, თანამშრომლობა აკრედიტაციის სამსახურთან გამოიხატება თვითშეფასების ანგარიშის შევსებით. ასევე, იმართება სემინარები, აკადემიური სამიტები, ეს უკვე თანამშრომლობის რაღაც ფორმაა.”* (თავისუფალი უნივერსიტეტი)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლები, როგორც მათი უნივერსიტეტის წარმომადგენლები, მაქსიმალურად ცდილობენ აკრედიტაციის ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებას, საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ ცენტრს კონსულტაციისთვის და მონაწილეობას იღებენ აკრედიტაციის ცენტრის სამიტებში.

*“გვაქვს ბევრი ვალდებულება აკრედიტაციის სამსახურის წინაშე, ბევრი დედლაინის დაცვა და ჩვენ ვცდილობთ... რომ დროზე მივაწოდოთ ყველაფერი რაც გვევალება. გარდა ამისა, არის ხოლმე კითხვები, რომლებიც ჩვენთვის გაურკვეველია და ჩვენ მივმართავთ კონსულტაციისთვის.”* (ილიას უნივერსიტეტი)

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აკრედიტაციის ცენტრის მიმართ დამოკიდებულებაში, ასევე იკვეთება არაერთგვაროვანი შეხედულებები. რაც გამოიხატება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების უკმაყოფილებით, აკრედიტაციის ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების მოსაზრებების და ხედვების ნაკლებად გათვალისწინების გამო.

*“მათ სამიტებში, ღონისძიებებში აქტიურად ვმონაწილეობთ, ისინი რომ პროექტებს გვაწვდიან, ჩვენ ჩვენს შენიშვნებს ვუბნებით, ჩვენ ინიციატივებსაც ვაწვდით... 5-მა კერძო სასწავლებელმა შევქმენით ერთობლივი კავშირი (ასოციაცია), ერთად ვთანამშრომლობთ აკრედიტაციის ცენტრთან. რომ გითხრათ ჩვენ საერთო აზრს უფრო მეტად ითვალისწინებენ ან მეტი წონა გვაქვს – არა, ამ მხრივ სიტუაცია დიდად არ შეცვლილა, მაგრამ ჩვენ ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ და ცენტრის ღონისძიებებშიც ვმონაწილეობთ აქტიურად.”* (კავკასიის უნივერსიტეტი).

*”მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა დოკუმენტების საჯარო განხილვაში ხანდახან, ყოველთვის არა. ჩვენ აზრს ისმენენ, თუმცა ყოველთვის არ ითვალისწინებენ, საკონსულტაციო შეხვედრები გვაქვს მათთან, ვთქვათ, სააკრედიტაციო დოკუმენტების წარმოდგენასთან დაკავშირებით...”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

აკრედიტაციის ცენტრის მიერ, ყველა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის აზრის ვერ გათვალისწინება, ბუნებრივად მიაჩნია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომელიც ზოგადად, პოზიტიურად აფასებს აკრედიტაციის ცენტრთან თანამშრომლობას. აკრედიტაციის ცენტრის მიერ გამართული სამიტების განსაკუთრებულ დადებით თვისებად მიიჩნევენ სხვადასხვა უნივერსიტეტში მოღვაწე კოლეგებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობას.

*” ბუნებრივია, ას კაცს შეიძლება ასი აზრი გააჩნდეს და საბოლოო შედეგში ყველა ვერ აისახება, მაგრამ მიდის ძალიან ინტენსიური კონსულტაციები და ნამდვილად ვგრძნობ მე იმას, რომ რაც იმ სამიტებზე არის პრიორიტეტული, ისინი ასახვას პოულობენ შემდეგ დოკუმენტებში. ... დადებითი ამ სამიტებისა ის გახლავთ, რომ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ტარდება და ხელს უწყობს კოლეგებს შორის ურთიერთობას...”* (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

### 3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქციები

#### **პროგრამების შეფასება**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს პროგრამების შეფასება. რომლის შესრულებაში აქტიურად თანამშრომლობენ პროგრამის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან, შეძლებისდაგვარად – დამსაქმებლებთან. პროგრამების შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ძირითადად ახორციელებენ კითხვარების მეშვეობით.

“პროგრამების შეფასება ხდება სპეციალური კითხვარის მეშვეობით, რომელსაც ვხვდებით...” (კავკასიის უნივერსიტეტი).

“პერიოდულად გამოკითხვები არის დაგეგმილი, პროფესორების, სტუდენტების.” (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

“პროგრამების შემუშავების კითხვარები გვაქვს შემუშავებული...” (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

“როდესაც მთავრდება სემესტრი ან სასწავლო წელი, პროგრამა ყოველთვის გადაიხედება, შესაბამისად, იმ ჩემი გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, იმ სილაბუსის შეფასებიდან გამომდინარე.” (თავისუფალი უნივერსიტეტი).

“ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული სპეციალური ფორმისა და ინდიკატორების მიღებით,... ბოლო პერიოდში დავიწყეთ უცხოელი ექსპერტების გამოყენებაც.” (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

პროგრამების გარედან შეფასების შესახებ აღნიშნა, მხოლოდ ორი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა.

“კი, გარე ექსპერტიზა ხდება. გვაქვს სპეციალური ექსპერტიზა, - აკადემიური საბჭოს მე-13 დადგენილება „პროგრამების ანონიმური ექსპერტიზა“. ( თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

“პროგრამების გარედან შეფასებაც ხდება. გვაქვს ზალცბურგის სემინარის/კომისიის მიერ მიღებული მაღალი შეფასება, ზალცბურგის ანგარიშიც გვაქვს სადაც წერია რჩევები, აღფრთოვანებები...” (კავკასიის უნივერსიტეტი).

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადად, პროგრამების გარედან შეფასების გამოცდილება ქართულ უნივერსიტეტებში არ არის დიდი. არ ხდება პროგრამების გარედან შეფასება; პროგრამების გარედან შეფასების ოფიციალური მექანიზმი არ არსებობს, მხოლოდ ნაცნობ, სხვა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებას და აზრთა გაცვლას გულისხმობს რეალურად.

“არა, გარედან შემოწმება არ ხდება.” (ილიას უნივერსიტეტი).

“სხვა უნივერსიტეტის პროფესორები არ ამოწმებენ, მაგრამ ჩვენთან მუშაობენ სხვა უნივერსიტეტის პროფესორებიც და გამოდის ისინი ამოწმებენ...” (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

“არაოფიციალურ დონეზე ჩვენს პროგრამებთან დაკავშირებით ჩვენს კოლეგებთან ყოველთვის გვაქვს საუბარი. ” (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

#### **უნივერსიტეტის რესურსების პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება**



ყველა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობაში შედის უნივერსიტეტის პირობების და რესურსების შესაბამისობის შეფასება არსებულ პროგრამებთან; ამასთან, ყველა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის პირობების და რესურსების შეფასების საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება და ზედმიწევნით განხორციელება გარკვეულ სიძნელეებთან/პრობლემებთან არის დაკავშირებული.

*”არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების კითხვარი“...რეკომენდაცია არის ჩვენი ფუნქცია და რეკომენდაციას სულ ვაკეთებთ, 30%-ს ითვალისწინებენ.“* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

*”რა თქმა უნდა, სისტემატურად, კითხვარების საშუალებით და მათი გაანალიზების შემდეგ ვაძლევთ რეკომენდაციებს.“* (ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი).

*”კი, გვაქვს თვითონ სივრცის მონიტორინგი, ვიცით რომ არ შეესაბამება, მაგრამ გამოსწორების საშუალება ყოველთვის არა გვაქვს,... სივრცის გაუმჯობესება ხდება მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე,”* (ილიას უნივერსიტეტი).

პროგრამის არსებობა ნიშნავს უკვე, მის მიერ ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობის დაცვას.

*” თითოეულ პროგრამაში გაწერილია, როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი, და თუ პროგრამაში მითითებული თუნდაც მატერიალური, ან ადამიანური რესურსი, შესაბამის სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, პროგრამა იხურება.”* (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

არის შემთხვევები, როდესაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ეხმარებიან პროგრამების ხელმძღვანელებს საჭირო რესურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით და პროგრამის პირობების შეცვლით. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძირითადად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები მხოლოდ შეფასებას აკეთებენ, ხოლო გამოსწორებაზე ზრუნვა, უკვე, სხვა სტრუქტურულ ერთეულებს ევალება; იქნებიან ესენი პროგრამის ხელმძღვანელები, თუ უნივერსიტეტის ესა თუ ის დეპარტამენტი. ოფიციალურად რესურსების შესაბამისობის შეფასება ვლინდება აკრედიტაციის ცენტრისთვის გასაგზავნ თვითშეფასების ანგარიშში.

*“ ამას ისედაც აფასებს აკრედიტაციის ცენტრი თვითშეფასების ანგარიშით და მე როცა ვაფასებ, მე ხომ ვხედავ რეალურად, რისი შესაბამისია?!... გაუმჯობესებაზე უკვე ის მუშაობს, ვისაც ევალება - დეპარტამენტი...”* (თავისუფალი უნივერსიტეტი).

*” ნებისმიერი თვითშეფასების ანგარიში, არის პროგრამების შეფასების კითხვარი,... ჩვენ დასკვნას წარვუდგენთ აკადემიურ საბჭოს. ჩვენ რეკომენდაციების საფუძველზე აკადემიური საბჭო ღებულობს გარკვეულ გადაწყვეტილებას. ”* (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

### **პროფესორ-მასწავლებლების მიღება/დაწინაურება**

უმეტესად, უნივერსიტეტებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები არ არიან ჩართული ახალი პროფესორ-მასწავლებლების მიღება/დაწინაურებაში;

*”ამაში ჩვენ ნამდვილად არ ვერევიტ...“* (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

*” არა, არავითარ შემთხვევაში, არ გვეხება...”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

*”ჩვენ არანაირად არ ვმონაწილეობთ...”* (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ზოგ შემთხვევებში, საუნივერსიტეტო შეთანხმებიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები აფასებენ შესარჩევ აკადემიურ პერსონალს და ასრულებენ რეკომენდატორის ფუნქციას აკადემიური საბჭოს წინაშე.

*“აკადემიური საბჭოს შეუძლია ინიცირება, რომ ჭირდება ამა თუ ამ მიმართულებით ხალხის მოძიება, უნდა გაკეთდეს რაოდენობრივი ანალიზი მისი საქმიანობის, ამისთვის ვიყენებთ ტომსონის საზომს ძალიან აქტიურად...”* (ილიას უნივერსიტეტი).

არის ასევე შემთხვევები, როდესაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უშუალოდ გეგმავენ და ახორციელებენ აკადემიური პერსონალის შერჩევას, მაშინ, როდესაც ახალი კადრების მიღების საჭიროება დგება.

*“პროფესორების შერჩევა ჩვენი უშუალო მონაწილეობით ხდება, დაწინაურებაც...”* (კავკასიის უნივერსიტეტი).

შესაბამისად, განსხვავებულად ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოსაზრებების გათვალისწინება ამა თუ იმ პროფესორზე, მისი შერჩევისას.

### **აკადემიური პერსონალის შეფასება**

აკადემიური პერსონალის შეფასება, ასევე, არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ერთ-ერთი სტრატეგიული ფუნქცია, რაც აქტიურად ტარდება სტუდენტების გამოკითხვების წარმოების მეშვეობით, თუმცა არ არსებობს კოლეგების მიერ აკადემიური პერსონალის შეფასების პრაქტიკა.

*“ლექტორების მიერ არა, მაგრამ სტუდენტების ასეთი გამოკითხვები იყო, წელს ჯერ არ ყოფილა, მაგრამ იგეგმება...”* (Iაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

*“სტუდენტების გამოკითხვა ხდება, კოლეგების არა...”* (ილიას უნივერსიტეტი).

*“... ელ. ვერსია გვაქვს კითხვარის, ყველა სტუდენტი ვალდებულია შევიდეს და რამე დაწეროს, შეაფასოს, ან დაწეროს, რომ შეფასებაზე უარს აცხადებს,.. კონფიდენციალურია.... კოლეგების მიერ იშვიათად ხდება, ენების დეპარტამენტში გვინდა დავენერგოთ, ერთმანეთის გამოცდილება რომ გაიზიარონ ვნახოთ რა გამოგვივა.”* (კავკასიის უნივერსიტეტი)

*“სისტემატურად სტუდენტები აკეთებენ პედაგოგების შეფასებას და შემდეგ ვაწვდით ხოლმე რეკომენდაციის სახით...”* (ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი)

*“ჩვენ გვაქვს კითხვარი შემუშავებული, საგანმანათლებლო პროგრამისა და ლექტორის შეფასების კითხვარი, რომელსაც ავსებს სტუდენტი ნებაყოფლობით, შემდეგ ხდება მისი ანალიზი,... შემდეგ ხდება პრეზენტაცია შედეგების...”* (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

გარდა სტუდენტების მიერ სხვადასხვა კურსის, ლექციის შეფასებისა, მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა კოლეგების მიერ ერთმანეთის ლექციების შეფასების შესახებ.

*“ჩვენი სტუდენტები აფასებენ აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებულ სალექციო კურსებს ანუ პერსონალი ფასდება ირიბად, ან კიდევ, კოლეგები აფასებენ ერთმანეთის ლექციებზე დასწრებით, ერთმანეთის მიერ ჩატარებულ ლექციას... საკონკურსო პროფესორები აფასებენ კონკურსანტების ანუ მომავალი პროფესორების სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობას...”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

### **აკადემიური პერსონალის განვითარება**

აკადემიური პერსონალის შეფასების მთავარი მიზანი არის სწავლის ხარისხის ამაღლება და ლექტორების აკადემიური განვითარებისთვის ხელშეწყობა. თუმცა, ამასთან ერთად, აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების აქტიური მონაწილეობა, მათი მხარდაჭერა სხვადასხვა კონფერენციასა და საერთაშორისო კავშირების განხორციელებაში. აღნიშნულ პროცესში ნაწილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა, მონაწილეობს იმგვარად, რომ დასკვნას ამზადებს აკადემიური პერსონალის კონფერენციაში მონაწილეობის მოწოდების შესახებ, ხოლო ნაწილი თავად იჩენს ინიციატივას და ეხმარება აკადემიურ პერსონალს ამა თუ იმ კონფერენციის შესახებ ინფორმაციის გაცნობით. მაგრამ, ჩვეულებრივ, დაფინანსების თვალსაზრისით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები საბოლოო გადაწყვეტილებას არ იღებენ.

*”პერსონალის განვითარებისთვის, ჩვენ ერთადერთი რაც შეგვიძლია, ვაძლევთ რეკომენდაციებს, თუ რაიმე ტრენინგები ეწყობა... გაცვლითი პროექტები ჩვენ არ გვებება.”* (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

*“მუდმივად ვიძიებთ ინფორმაციებს იმისთვის რომ მივაწოდოთ ჩვენს პროფესორ მასწავლებლებს თუ რაიმე საინტერესო ხდება, ვუკეთებთ მეცნიერული გრანტების დაფინანსებას ჩვენი სახსრებით, ეს შეიძლება იყოს წიგნის გამოცემა, მივლენებებში შეუძლიათ წავიდნენ.”* (ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი).

*“ჩვენ გვაქვს მივლინებებისთვის გამოყოფილი ფონდი და თუკი ვთვლით, რომ რაღაც მსხვილ სამეცნიერო ფორუმზე მიდის ჩვენი თანამშრომელი ნაწილობრივ მაინც დაუფინანსოთ ხარჯები. ამას წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.”* (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

*”სემინარები და სემინარების ჩატარება, და ჩვენი აკადემიური პერსონალი, ძალიან ხშირად მიდის საზღვარგარეთ... მთელ რიგ შემთხვევაში უნივერსიტეტი აფინანსებს და რიგ შემთხვევებში, თვითონ კონფერენციების მიერ ფინანსდება.”* (თავისუფალი უნივერსიტეტი).

*” პროფესორი წერს, რომ ის მედის კონფერენციაზე და მოხსენების თეზა უნდა წარმოადგინოს, ასევე ის, რომ ეს მოხსენება მიღებულია, ჩვენ ვამოწმებთ, ამ, როგორც კონფერენციის დონეს, ასევე პროფესორის ეფექტურობას... შემდეგ ერთ დასკვნას ვდებთ დაფინანსების თაობაზე... ძირითადად ითვალისწინებენ ჩვენ დასკვნას, ამის საფუძველზე შეუძლიათ გასცენ განკარგულება.”* (ილიას უნივერსიტეტი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალისთვის გარკვეული ტიპის ტრენინგების ჩატარება არ არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პირდაპირი ფუნქცია, ისინი მაინც ახორციელებენ ასეთ ტრენინგებს.

*” ტრენინგები ჩაგვიტარებია... პირდაპირ ჩვენი ფუნქცია არ არის, უბრალოდ ვითავსებ. ...* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

### **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი**

სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, რომელიც შეიძლება განხორციელდეს უწყისების განხილვით, რეიტინგების დადგენით, არ არის ყველა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია, თუმცა ძირითადი ნაწილი აღნიშნულ ფუნქციას ახორციელებს, როგორც მის ერთ-ერთ მოვალეობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იმ უნივერსიტეტებში, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ახორციელებენ სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, ეს მაინც უფრო ფორმალურ სახეს ატარებს, ვიდრე შინაარსობრივს; არ ხდება სტუდენტების აკადემიურ მოსწრების

მონიტორინგის მიზნობრივად, ფუნქციონალურად გამოყენება; სწავლის და სწავლების ხარისხის ამაღლებაზე მიმართული კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება. სხვადასხვა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განცხადებებით ვხვდებით, რომ სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ ფორმალური მოვალეობა, რომლის მნიშვნელობა და შესაძლო დანიშნულება არ არის კარგად გაცნობიერებული. შესაბამისად, უნივერსიტეტებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქციის, – სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, დახასიათებისას, ძირითადად, ვეცნობით ინფორმაციას, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის წარმოების ფორმალური საშუალებების შესახებ.

უნივერსიტეტებში, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ახორციელებენ სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, ძირითადად იყენებენ შეფასების ელექტრონულ სისტემას.

*” გვაქვს ელექტრონული ფორმის უწყისი, სადაც თვითონ ლექტორი ითვლის, თვითონ წერს, კრიტერიუმი რა აქვს და წონა რა აქვს იმ კონკრეტულ კრიტერიუმს. სემესტრში ორჯერ გვიგზავნიან ამ უწყისს, ვახდენთ ამის მონიტორინგს.”* (თავისუფალი უნივერსიტეტი).

*“გვაქვს ელექტრონული სისტემა, სადაც ეს ყველაფერი ჩანს ავტომატურად ადმინისტრატორისთვის... მაგრამ ჩვენ არ ვაძარებთ სხვადასხვა კურსზე მიღებულ შეფასებებს ერთმანეთს, აქედან რაიმე დასკვნა არ გამოგვაქვს, ანალიზს არ ვუკეთებთ.”* (ილიას უნივერსიტეტი).

ამასთან, შეფასების ანგარიშები შეიძლება მომზადდეს საგამოცდო ცენტრის მიერ მიწოდებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.

*” კი, მათი შეფასების ანგარიშებით, მათი შეფასებების მიხედვით, სტატისტიკას გვაწვდის საგამოცდო ცენტრი.”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასების ერთ-ერთი ფორმას წარმოადგენს რეიტინგების დადგენა, რომლის მიზანი არის სტუდენტებისთვის გამოყოფილი ფულადი ჯილდოების – ”სტიპენდიების” ობიექტური განაწილება.

*” რეიტინგების დადგენა ხდება და ინიშნება სტიპენდიები მის მიხედვით. “* (ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი.)

კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი აღნიშნავს, აკადემიური მოსწრების სისტემატური მონიტორინგი მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვისთვის. გადახრად ითვლება, როდესაც სტუდენტების 10%-ზე მეტი გამოირჩევა სწავლის განსაკუთრებით მაღალი, ან განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლებით. ასეთი მდგომარეობის დაფიქსირების შემთხვევაში ხდება პარალელების გავლება თავად კონკრეტული სასწავლო კურსის მახასიათებლებთან, შესაძლოა დაასკვნან, რომ კურსი არის ან ძალიან ადვილი, ან ძალიან ძნელი, და შესაბამისად იზრუნონ მის გამოსწორებაზე.

*“ აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხდება სისტემატურად, ჩვენი საქმეა აღმოვაჩინოთ რამე გადახრა თუ არსებობს და გამოვასწოროთ. “* (კავკასიის უნივერსიტეტი)

გამონაკლისს წარმოადგენს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის ფუნქციაში არ შედის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი.

*” ჩვენს ფუნქციაში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი არ შედის. ”* (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

### **სტუდენტების საგნებზე დარეგისტრირება**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები განსხვავებული ხარისხით მონაწილეობას იღებენ სტუდენტების საგნებზე დარეგისტრირების.

“გვაქვს რეგისტრაციის სისტემა, სადაც სტუდენტები თვითონ ირჩევენ საგნებს. “ (კავკასიის უნივერსიტეტი).

“ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთი განყოფილება პასუხისმგებელია სტუდენტების ჩარიცხვის დროს რეგისტრაციაზე, მიმდინარე მდგომარეობის დაფიქსირებაზე. ” (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

“საგნებზე დარეგისტრირება კი, გვებეჭება, ეხლა ჩვენს უნივერსიტეტში ძალიან მალე ამუშავება საგნებზე დარეგისტრირების ელექტრონული ბაზა. და ამის შემდეგ, ალბათ უკვე ნაკლები როლი გვექნება ჩვენ.” (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

თუმცა, გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ მონაწილეობს სტუდენტების მოსწრების, საგნებზე დარეგისტრირების, მათი უნივერსიტეტიდან გადასვლის პროცესის განხორციელებაში. (რაც თავის მხრივ, შესაძლოა უნივერსიტეტის სტრუქტურულ დანაწილებას უკავშირდებოდეს.)

” არა, ეს არის მთლიანად სასწავლო დეპარტამენტი...” (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

### **სტუდენტთა მობილობა და კრედიტების აღიარება**

ყველა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გარკვეული ხარისხით ასრულებს სტუდენტთა მობილობის და კრედიტების აღიარების ფუნქციას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ჩართულნი არიან სტუდენტის გარე და შიდა მობილობის პროცესების განხორციელებაში. ნაწილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა, უშუალოდ ახორციელებს მობილობის პროცესს, ხოლო ნაწილი რეკომენდატორის, დამხმარეს ფუნქციას ასრულებს, დეკანებთან შეთანხმებით.

” ეს ნამდვილად არის ჩვენი ფუნქცია, ჩვენ გვყავს კიდევ სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია მობილობაზე.” (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

“ მობილობის შემთხვევაში ჩვენ გვევალება წარმოდგენილი დასკვნების კოორდინირება, და გადაცემა აკრედიტაციისთვის. “ (ილიას უნივერსიტეტი).

“ მობილობის რეგულაცია, სტუდენტთა ჩარიცხვის წესის ინსტრუქცია, ეს - სასწავლო პროცესის მართვის და რეგისტრაციის სამსახურთან კეთდება.” (კავკასიის უნივერსიტეტი).

საგულისხმოა, რომ ზემოთ მოყვანილი ინტერვიუს ტრანსკრიპტის ამონარიდის ავტორის თანახმად, სასწავლო პროცესის მართვის და რეგისტრაციის სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფება.

შესაძლოა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პირდაპირ არ ეხებოდეს შიდა მობილობასთან დაკავშირებული პროცედურების გატარება, მაგრამ ჩართული იყოს, როგორც გარკვეული მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე.

“ ეხება, მაგრამ პირდაპირ - არა, შიდა მობილობას დეკანები არეგულირებენ, მე, რა თქმა უნდა, ვერევი, რომ პროცედურები დაცული იყოს.” (თავისუფალი უნივერსიტეტი).

კრედიტების აღიარება ხშირად არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქცია და ისინი ცდილობენ სამინისტროს რეგულაციის შესაბამისად, კრედიტების აღიარების ევროპული სისტემის მიხედვით და ასევე მათი უნივერსიტეტის შიდა წესის შესაბამისად განახორციელონ ის.

*”გვაქვს სპეციალური წესი, რომელიც აკადემიური საბჭოს მიერ არის დამტკიცებული...”* (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

*”ხდება, კრედიტების აღიარების სპეციალური წესის მიხედვით...”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

#### **დიპლომის დანართის შევსება**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქცია დიპლომის ფორმასთან დაკავშირებით, მდგომარეობს განათლების სამინისტროს მითითებების დაცვის კონტროლში. ყველა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღიარებს, რომ დიპლომების გადახედვა, მონიტორინგი მათი ფუნქციაა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ძირითადად დანართის შექმნის პროცესში მონაწილეობენ.

*”დიპლომის ფორმას, როგორც ვიცით, ადგენს კანონმდებლობა და პერიოდული მონიტორინგი ხდება გაცემის და დანართების.”* (თავისუფალი უნივერსიტეტი)

*”დიპლომების განხილვა – სტანდარტები თუ იცვლება მხოლოდ მაშინ ხდება... პროგრამების გადახედვა და ცვლილებების შეტანა საგანმანათლებლო პროგრამებში ხდება ფაქტიურად ყოველ წელს.”* (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

*” ხარისხის სამსახური შეიმუშავებს მისანიჭებელ ხარისხის ხების პროექტს, რომელსაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო...”* (თსუ).

#### **4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების მიერ საკუთარი სამუშაოს შედეგის შეფასება/ხედვა.**

ზოგი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს უჭირს საკუთარი სამუშაოს მიღწეულ შედეგებზე საუბარი; ნაწილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა კრიტიკულად უდგება საკუთარი მუშაობის შედეგების განხილვას და ამბობს, რომ მუდმივი უკმაყოფილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დამახასიათებელი თვისებაა.

*”როგორც ნაკლოვან მხარეებს, ისე შედეგებსაც ვხედავ... ხარისხის სამსახური არასდროს კმაყოფილი არ უნდა იყოს, მე ასე მიმაჩნია.”* (თავისუფალი უნივერსიტეტი)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უმეტესობა ძირითად მიღწეულ შედეგად პროგრამების დახვეწას მიიჩნევს, რაც თავის მხრივ, სილაბუსების სერიოზულ დამუშავებას უკავშირდება.

*” კი ნამდვილად ვხედავ, ისეთი არ არის, როგორც უნდა იყოს, მაგრამ ვხედავ; მაგალითად, რომ ავიღო 2005 წლის სილაბუსი და 2010 წლის, ეს უკვე არის შედეგი...”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ასევე, შედეგად მიიჩნევენ თავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის აწყობას, მის ფუნქციონირებას.

*“ შედეგი არის რა თქმა უნდა, ყოველდღიური მართვა, სისტემატური, ძალიან რთულია, სულ რაღაც არის გასაკეთებელი, სწრაფად იცვლება ნორმატიული ბაზა სახელმწიფო დონეზე და დროზე მიყოლა და გათვალისწინება რთულია...”* (კავკასიის უნივერსიტეტი)

## 5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენელთა მიერ დანახული ძირითადი პრობლემები.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების მიერ დანახული პრობლემები მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით ხასიათდება. რაც შესაძლოა იმით აიხსნას, რომ თავისთავად ყველა უნივერსიტეტს სპეციფიური პრობლემები აქვს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლების ნაწილი ძირითად პრობლემად განიხილავს არასაკმარის დაფინანსებას, თუმცა აღნიშნავენ, რომ ყურადღება და მხარდაჭერა არ აკლიათ ადმინისტრაციისგან.

*“ ყურადღება ნამდვილად არ გვაკლია ადმინისტრაციისგან, მაგრამ ალბათ მეტი ფინანსები არის საჭირო გარკვეული კვლევების ჩასატარებლად. სასარგებლო იქნებოდა მეტი კონტაქტები საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან. ”* (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

*“ ძირითადი პრობლემა რაც შეიძლება ვთქვათ, ეს არის ფინანსების ნაკლებობა. ”* (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის თანახმად, ფინანსების ნაკლებობა მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს, არამედ გადაძვრები მნიშვნელობა აქვს ზოგადად განათლების ხარისხზე ზრუნვას საქართველოს უნივერსიტეტებში და ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის დამკვიდრებას, რომლის ნაკლებობა წარმოადგენს ძირითად პრობლემას.

*“ ძირითადი პრობლემა არის ის, რომ...საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში კარგად იყოს გათავისებული, ყველა უნივერსიტეტში, ხარისხი და ზრუნვა ხარისხზე... რომ სამუშაო არ გაიმარტივონ. ”* (თავისუფალი უნივერსიტეტი)

*“ ჯერ კიდევ, ხარისხის უზრუნველყოფა სახელმწიფო დონეზე, არის დაყვანილი გარე ტექნიკურ მახასიათებლებამდე, ანუ არ არის საშუალება სიღრმისეული, შინაარსობრივი ცვლილებებისა. ”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.)

ნაწილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა, პრობლემას თავად ხარისხის ამალგების პროცესში პრიორიტეტებს შორის (მაღალი ხარისხის სწავლება/ეფექტური კვლევა) ბალანსის დაცვაში ხედავს.

*“ ძირითად პრობლემად მიმაჩნია იმ საჭირო ბალანსის დაცვა, რაც აუცილებელია ერთი მხრივ, სწავლის მაღალი ხარისხისთვის და ეფექტური კვლევისთვის, მეორე მხრივ. ”* (ილიას უნივერსიტეტი).

ერთ-ერთ პრობლემად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მუშაობაში, კერძო სასწავლებლების მიმართ საზოგადოების უნდობლობა დასახელდა.

*“ განსაკუთრებული პრობლემა ჩვენს წინაშე არის ხალხის უნდობლობა კერძო სასწავლებლების მიმართ. მუდმივად მუშაობა ამ საკითხზე პროფესორ მასწავლებლებთან და საზოგადოებასთან, მუდმივი ინფორმაციის მიწოდება. ”* (ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი)

აღნიშნულ პრობლემას უკავშირდება ასევე კერძო უმაღლესი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განცხადება, ნორმატიული ბაზის ცვლილებასთან დაკავშირებით, მოწვეული პროფესორების არჩევანის წინაშე დაყენება, (კერძო და საჯარო უნივერსიტეტში მუშაობას შორის).

*“ აიკრძალა სრული პროფესორის ორ ადგილზე მუშაობა, ვინც მოწვეული გვყავდა ზოგმა არჩია სახელმწიფო უნივერსიტეტში დამკვიდრება და წავიდა, ზოგი დარჩა. ”* (კავკასიის უნივერსიტეტი).

## 6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების როლი პროფესორების მუშაობაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მათი სამსახური ძირითადად ხელს უწყობს პროფესორებს მუშაობაში, ვიდრე უშლის. მართალია, სილაბუსების, კურიკულუმების ცვლილებების პროცესში ჩართვა პროფესორებს დამატებით ძალისხმევას სთხოვს, მაგრამ აღნიშნულში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ეხმარებიან პროფესორებს და მას შემდეგ, რაც მოხდება ცვლილებების მიღწევა, შედეგი დამაკმაყოფილებელი ხდება ორივე მხარისთვის.

*” როდესაც ისინი დავალებას იღებენ, რომ ეს ასეა გასასწორებელი, ბუნებრივია, არავის არ მოსწონს, მაგრამ მერე, რომ გაასწორებენ ყველაფერს და რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ, მერე პირიქით, მადლობლები არიან... ”* (იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოსაზრებით, პროფესორების ნახევარი თვლის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეხმარება მუშაობაში, ხოლო ნახევარი კი – მიიჩნევს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკონტროლებს და ხელს უშლის მუშაობაში.

*” 50% ფიქრობს რომ ეს კონტროლია, და 50% ფიქრობს, რომ პირიქით, ძალიან ეხმარება, ამ შემთხვევაში, ჩემი ჩარევა “* (თავისუფალი უნივერსიტეტი)

ერთ-ერთი საჯარო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შედარებით მეტი სიმწვავეთ გადმოსცემს პროფესორების შესაძლო, მოსალოდნელი დამოკიდებულების შესახებ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის მიმართ, და ამბობს, რომ ბევრი, ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნის გამო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უშლის პროფესორებს მუშაობაში.

*” კანონში შესულ ცვლილებებს ვუწევთ ანგარიშს. ამიტომ გვიწევს პროფესორების შეწუხება ხშირი ცვლილებებით, ვთხოვთ ძალიან ბევრ ქაღალდს, ვთხოვთ პროგრამის აღწერილობას,... ვთხოვთ ძალიან ბევრ სილაბუსს, სილაბუსის ფორმა ახლა ძალიან გართულებულია. ხანდახან ვთხოვთ ამ სილაბუსების უცხო ენაზე თარგმნას, რომ საერთაშორისო ექსპერტიზა გაკეთდეს; ვთხოვთ საჯარო განხილვებში მონაწილეობას, ვთხოვთ ექსპერტობას. ბუნებრივია ეს მათ აღიზიანებთ და ხარისხის სამსახურის მიმართ აგრესიულად არიან განწყობილნი, მაგრამ მეორეს მხრივ, ამ ყველაფრის გამო თანდათანობით განვითარდა პროგრამაც, არის უკეთესი ვიდრე იყო.”* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

## 7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლებს შორის ცოდნის განაწილება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მათ ყველა თანამშრომელს აქვს ის ინფორმაცია, რაც მათ, რადგან თანამშრომლებს შორის ინფორმაციის და შეხედულებების, მოსაზრებების მუდმივი გაცვლა და გაზიარება ხდება. თუმცა, ასევე აღნიშნავენ, რომ გარკვეული პოზიცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში განსხვავებულ ცოდნის/ინფორმაციის ფლობას გულისხმობს და ძნელია იმის თქმა, აქვთ თუ არა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს რეალურად ერთნაირი ცოდნა იმ საკითხების შესახებ, რომლებზეც ინტერვიუს განმავლობაში ვისაუბრეთ.



## ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დახასიათება შესაბამისი უნივერსიტეტების პროფესორების მიერ

*”ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის სტუდენტის მამა და მარჩენალი”.  
(აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)*

პროფესორების უმეტესობის აზრით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია ”სტუდენტებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზებაა”.

*”ჩვენი ხარისხის მართვის სტრატეგია და მთელი უნივერსიტეტის გამოიხატება ერთ რამეში, რომ ჩვენი საუნივერსიტეტო პროგრამები აკმაყოფილებდნენ ევროპულ სტანდარტებს, და იყოს შესაბამისობაში ბოლონიის პროცესთან. მიდის რევიზირება ყველა საბაკალავრო პროგრამისა, რომ უნდა იყოს შესაბამისი პროგრამის მიზნები, სტრუქტურა, რა შეფასების სქემა, რამდენი კრედიტისგან შედგება, როგორ არის გაწერილი სალექციო კურსები, საათები, ვინ ატარებს, რამდენი სალექციო, რამდენი სასემინარო... რამდენი დამოუკიდებელი მუშაობა... ყველაფერი, რაც არის ბოლონიის პროცესის შესაბამისად”.*

ზოგიერთი პროფესორის აზრით, *”ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განათლების სისტემასთან ურთიერთობის ხიდია, კოორდინირებულად ასრულებს თავის მუშაობას”.*

მხოლოდ ორი უნივერსიტეტის – ილიას უნივერსიტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორები აღნიშნავენ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია კვლევის ხარისხის გამუჯობესებაა.

პროფესორები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიის საკმრისად ზოგად ფორმულირებას გვთავაზობენ: *“არის ხარისხის გაუმჯობესების, გასაკვირი იქნებოდა, სხვა რამე რომ ქონოდა, ძირითადად კი ხარისხის გაუმჯობესება”*

პროფესორების ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ საბოლოოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩამოყალიბდა, რათა სტუდენტს შეუქმნას სათანადო საწავლო გარემო:

*”საერთოდ რომ მოვა სტუდენტი, იქიდან დაწყებული, დიპლომის დანართს რომ ჩააბარებს, იმით დამთავრებული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნდა იყოს პასუხისმგებელი და არის კიდევ, რომ სტუდენტისთვის რაც შეიძლება მისაღები იყო ამ უნივერსიტეტში სწავლა”.*

აწესებს პროფესორს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციად ისიც კი მიაჩნია, რომ სტუდენტის დიპლომის აუთენტიკურობა აღიაროს, სავარაუდოდ, ამ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ნამდვილად ასრულებს ამ ფუნქციას.

პროფესორების უმეტესობა თანხმდება იმაში, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ტრენინგებს უნდა ატარებდეს მათთვის:

*“ყველაზე რთული არის ხარისხის გაუმჯობესების ელემენტების პროფესორებამდე მიყვანა, და შესაბამისად ტრენინგები მწვენილოვანია, ეს უკვე გზაა, რომლითაც ამ სტრატეგიას ვახორციელებთ, მუდმივი კონტროლი, სტრატეგიაში შედის, ხარისხი რომ არ დაეცეს და პირიქით ხარისხი დავიდეს ყველა მონაწილის ჭკუამდე და გახდეს აუცილებელი ნაწილი მისი საქმიანობის”.*

თავისუფალი უნივერსიტეტის გარდა, ყველა უნივერსიტეტის პროფესორი ამბობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობები გამჭვირვალეა, ვებგვერდზე დევს მთელი ინფორმაცია. ხოლო თავისუფალი უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ რადგან ის კერძო უნივერსიტეტია, მისთვის არ არის სავალდებულო ინფორმაციის ვებგვერდზე დადება.

ზოგიერთ პროფესორს, მიუხედავად იმისა, რომ უწევს ურთიერთობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მისი სტრუქტურის შესახებ. (ილია, აწსუ) და ნაკლებად ნახულობენ შესაბამის ინფორმაციას ვებგვერდზე, თსუ-ს და კავკასიის პროფესორებმა განსაკუთრებით კარგად იციან თავიანთი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურა.

### **პროფესორების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ურთიერთობა**

*”მე, პირველ რიგში, მაქვს უფლება აზროვნებაზე და ამის წართმევა არავის შეუძლია”.*

*(იაკობ გოგოებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი)*

პროფესორების ნაწილის აზრით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული დავალებების შესრულება სავალდებულოა:

*”სავალდებულოა, სხვანაირად არ გამოვა, პროგრამების და სიალაბუსების შეცვლა, ტრენინგებზე დასწრება”*

*”ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს კი აქვს უფლება სანქციები გამოიყენოს, მაგრამ ისე ვართ აწყობილები და შეწყობილები, რომ ასეთი რამ არ დასჭირდებათ, არ მომხდარა როდესმე დასჯის ფაქტი”. აწსუ*

”სავალდებულოა, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს რეკომენდაციები მოცემული, რომლის შესრულებაც არ არის სავალდებულო, მაგრამ დავალებები და წესები სავალდებულოა” კავკ

”ჩვენს უნივერსიტეტში სავალდებულოა და აქედან გამომდინარე ნებაყოფლობითობას არაფერი არ ექვემდებარება” (თსუ).

პროფესორების ნაწილი ფიქრობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დავალებების შესრულება სავალდებულოა, ხოლო – რეკომენდაციების – ნებაყოფლობითი:

”მოდი, ასე ვთქვათ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გააჩნია დავალებები და გააჩნია რეკომენდაციები, რომ ვეუბნებით, მაგალითად, რომ სილაბუსში უნდა იყოს დეტალურად აღწერილი შეფასების სისტემა, ანუ სტუდენტი რაში იღებს ქულას, რატომ, რა უნდა იცოდეს? – ამას ვეუბნებით, რომ ეს აუცილებლად უნდა იყოს, ანუ ეს არის დავალება და ეს არ განიხილება. მაგრამ იმას რაში შეაფასებს, რამდენ პროცენტს მიანიჭებს, - გამოცდა რომ უნდა იყოს შემაჯამებელი, ეს გასაგებია - ლექტორის და პროფესორის აკადემიურ დავისუფლებას ვიცავთ და პატივს ვცემთ. ანუ არის რეკომენდაცია, არის დავალებაც, არის შეთანხმებაც”.

“ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მისი დავალებების შესრულება არის სავალდებულო, მაგრამ მე ყოველთვის ვეუბნები მას, რომ სავალდებულო კი არ არის, ეს არის რეკომენდაცია, რომ თვითონ აკრედიტაციის ცენტრი იძლევა რეკომენდაციას, მაგრამ, სამწუხაროდ, განათლების სისტემაში ისევ ძველი წესი მუშაობს, მოდის რეკომენდაციები, რომლებიც, როგორც დავალებები აუცილებლად უნდა შესრულდეს, მე ამის სასტიკი წინააღმდეგი ვარ”

### **პროფესორების და სტუდენტების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობებში**

”თუ იგრძნო ადამიანმა თავი გარიყულად - ჩემს აზრს არ ითვალისწინებენ - თუ უცხოდ იგრძნო თავი, ის შემდეგ საქმეს არ გააკეთებს, ან გაქცევაზე იქნება, ან კი აქ იქნება, მაგრამ შენთან არ იქნება”.

(ქუთაისის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტი)

პროფესორების უმეტესობის აზრით, ისინი ჩართული არიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობებში, თუმცა, როდესაც ჩართულობის კონკრეტულ ფორმებზე ვეკითხებით, ისინი ძირითადად ასახელებენ იმას, რომ პროფესორები ესწრებიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს, რაც, ხშირად, სავალდებულოა:

„ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია არ გავუშვათ პროფესორები ისე, სანამ ამას არ გააკეთებენ. გნებავთ ამას იძულებითი ხარისხი დაარქვით, გნებავთ რა. სხვანაირად უბრალოდ არ მუშაობს,.....მასწავლებელს ხომ ვერ დასჯი, მასწავლებლის გადასწავლება არის ძალიან რთული. მოვიფიქრეთ ამიტომ ეს გზა, მოდი რა, ვაიძულოთ და იქედან რომ წამოვა, თავსი რამოდენიმე კითხვა ან სტილი მაინც ექნება ისე დასმული, რომ ეს უკვე გვადლევედეს იმ სასწავლო შედეგს, რომელზეც ჩვენ ვიყავით ორიენტირებულნი”.

ამავე დროს, რესპონდენტთა ნაწილს ესმის, რომ პროფესორებმა უნდა იგრძნონ, რომ მათი როლი მნიშვნელოვანია:

”კი, სხვაგვარად არ გამოდის. იმიტომ რომ, ჩვენ თუ გვინდა, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ავაგოთ, ჩვენ თუ გვინდა, რომ მისია შევასრულოთ და შედეგებზე გავიდეთ, ანუ – რასაც მოგვთხოვს აკრედიტაციის ცენტრი, მაშინ თითოეული მონაწილე უნდა გრძნობდეს ამ მისიის მონაწილედ თავს. ....რომ გითხრათ, რომ ყოველ წუთში ყოველ პროფესორს აზრს ვეკითხებით, ახლა ეს სისულელე არის – არც ერთ მენეჯერულ წესში არ დევს, მაგრამ სულ არის ერთიანი შეხედრები: რაზე ვიგეგმებით, რატომ? რა შედეგს მოგცემს? ჯერ ლექტორს უნდა აუხსნა ეს კარგად, რომ შემდეგ იმან სტუდენტებამდე მიიტანოს”. ქუთაისი, კერძო

თავისუფალი უნის და თსუ-ს პროფესორები ჩართულები იყვნენ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარების შედგენაში:

“ასევე, სხვათა შორის, კითხვარის დაგეგმარებაშიც მონაწილეობენ ლექტორები, იყო შემთხვევა, როცა ლექტორები პროტესტს გამოხატავდნენ კონკრეტული კითხვის მიმართ, რატომ დამისვი ეს შეკითხვა, რას გაძლევთ”

პროფესორთა ნაწილს კი მიაჩნია, რომ ისინი არ არიან ჩართულები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიული მიმართულებების, მნიშვნელოვანი დოკუმენტების და აქტივობების განხილვაში (ილია, თსუ, თელავი):

”ხარისხის უზრუნველყოფას თვითონ საპროგრამო დოკუმენტების, ანუ ანგარიშგების დოკუმენტების შემუშავების კვალობაზე არანაირი კავშირი არ აქვს პროფესურასთან, ანუ აკადემიურ პერსონალთან, არ ითვალისწინებს მის მოსაზრებებს, შეიძლება, ამაში ყველა მასობრივად ვერ იყოს ჩართული, მაგრამ ყოველშემთხვევისათვის მცდელობა იმისა, რომ რაღაცნაირად იყოს ღია სამსახური არ არის”.

“ლექტორების ჩართულობა მცირეა, 20%, და ეს მოდის ბრძანებების შესრულებაზე, ყველას ერთნაირად არ ესმის იგივე კითხვარი, ყველა ლექტორი ერთნაირად ვერ აღიქვამს მოცემულობას”.

როგორც პროფესორების მიერ გაცემული პასუხებდან ჩანს, ყველა უნივერსიტეტში მსგავსი სურათია: სტუდენტები პრაქტიკულად არ არიან ჩართულები სტრატეგიული საკითხების განხილვაში. ჩართულობის ერთადერთი ფორმა, რომელსაც პროფესორთა უმეტესობა აღნიშნავს, არის სტუდენტების მიერ პროფესორების

შეფასება - სტუდენტები ავსებენ კითხვარს პროფესორების შესახებ, ძირითადად მათი სწავლების უნარებზე.

## **პროფესორების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების შეფასება**

”ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური  
კარგად ახერხებს აკადემიური პერსონალის ტერორს”  
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროფესორები ერთსულოვნები არიან იმაში, რომ ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესის გამო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოთხოვნები სწრაფად და ხშირად იცვლება:

*”ამ სწრაფი ცვლილებებიდან გამომდინარე, რაც შედის საგანმანათლებლო სისტემაში, მართვაში, ზოგად მექანიზმებში, თუ კონკრეტულ უნივერსიტეტთან მიმართებაში, უნივერსიტეტს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსაც სტრატეგიები მეტ-ნაკლებად ეცვლება”.*

პროფესორთა უმეტესობა უკმაყოფილოა იმით, რომ ბევრი შრომა უწევთ სილაბუსებზე და ხშირად უწევთ მათში ცვლილებების შეტანა. მათ ხშირად სთხოვენ სილაბუსების შეცვლას, ხანდახან წელიწადში რამდენიმეჯერაც, რაც დამატებით სირთულეებს ქმნის. ამის გამო, პროფესორებს ხანდახან შვებულების პერიოდშიც უწევთ მუშაობა. პროფესორთა ნაწილს ესმის, რომ სილაბუსის შეცვლა სწავლის მიმდინარეობის დროს არ არის სწორი.

*”იჭარბად გვთხოვენ სილაბუსების ცვლას, ხშირად”*

*”რაც ეხება სილაბუსების შესწორებას, ეს ცოტა თავსატეხი და უსიამოვნოა. კი, მეხმარებიან ამის გაკეთებაში, როდესაც არის მოთხოვნა რამე შეიცვალოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, ყოველთვის, ნებისმიერი ცვლილების შეტანისას, ზოგჯერ თვითონაც შეაქვთ და ათანხმებენ ჩვენთან. ხშირად გვთხოვენ ცვლილებებს, ყოველ სემესტრში”.*

*”მეხუთე წელიწადია ამოწმებენ, კრედიტებს სწორად ითვლიან თუ არა პროფესორები, პარალელურად იცვლება, მე ვიტყვოდი, სრულიად გაუგებარი ფორმით სილაბუსების წარდგინება, რომელიც, ჩემი აზრით, აბსოლუტური აბსურდია, იმიტომ რომ მე არ მეგულება არცერთი უნივერსიტეტი, სადაც სილაბუსი იწერება ისეთი ფორმით, როგორც არის სახელმწიფო უნივერსიტეტში, და იმისდა მიხედვით, თუ თვითონ რას დაადგენს ხარისხის უზრუნველყოფა. მერე თვლის, რომ ეს აუცილებლად უნდა შესრულდეს და ეს არის ნორმა”.*

*“არ შეიძლება, რომ სწავლის პროცესში მოდიოდეს მეთითებები და სწავლის პროცესში შენ გაიძულებდნენ შეცვალო სილაბუსი, მე კონკრეტულ შემთხვევას*

ვგულისხმობ, შეცვალო პროგრამის სტრუქტურა, ეს უნდა ხდებოდეს თუნდაც იგივე ზაფხულის თვეებში - მიცემა დავალების და სექტემბრისთვის ჩვენ უნდა გვექონდეს ჩამოყალიბებული უკვე. მითითება, რა, როგორ შეცვალოთ და ეს უნდა ხდებოდეს სასწავლო წლის ბოლოს, რადგან ადამიანს უნდა დასვენება, ფაქტობრივად ჩვენ, რიგითი პროფესორები, იძულებული ვართ სწავლის პროცესში ვცვალოთ სილაბუსები, ეს ალბათ ყველა უნივერსიტეტის პრობლემაა, აკრედიტაციის სამსახურს ამ შემთხვევაში მართებს, ჩემი აზრით, ბრძანების გაცემის დრო შეარჩიოს ზუსტად, ძალიან ადვილია გასცე განკარგულება”.

პროფესორთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ინფორმაციას დორულად იღებენ, ამ მხრივ, შედარებით უკმაყოფილონი არიან დიდი ზომის უნივერსიტეტის პროფესორები. მაგალითად, ინფორმაციის დროულად მოწოდებაზე და ვებგვერდზე დადებული ინფორმაციის სიმცირეზე წუწუნებს თსუ-ს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი.

ასევე, თსუ-ს, როგორც დიდი ზომის უნივერსიტეტის ნაკლად მიიჩნევს მისი პროფესორი იმას, რომ ”ფაკულტეტებზე განსხვავებული მიდგომებია, მაგალითად, ჰუმანიტარული ფაკულტეტი არ ემორჩილება წესს, რომლის მიხედვითაც არჩევითი საგნების რაოდენობა უნდა იყოს შეზღუდული”.

ზოგადად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობებს პროფესორები ძირითადად დადებითად აფასებენ, თუ არ ჩავთვლით მცირე რაოდენობით პროფესორების მიერ გამოთქმულ შენიშვნებს ინფორმაციის მიწოდების დროულობის და ფორმის შესახებ.

”ინფორმაციის მიწოდება პერსონალისთვის უფრო ხშირად და ნაკლებად ბიუროკრატიული ენით უნდა ხდებოდეს, რათა გაიგოს ყველა ასაკის მთლიანად აკადემიურმა პერსონალმა. ზოგს უკვირს, რა საჭიროა სილაბუსი, მაგის გარეშე ვერ ვასწავლიდი? და ნელ-ნელა მივსულიყავით იქამდე, თუ რა იყო საჭირო აკრედიტაციისთვის და არ გაგვეგო ასე უცებ. არის კომუნიკაციის პრობლემა”.

სამაგიეროდ, პროფესორები აკრიტიკებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიას, მის ფუნქციებს. მათი აზრით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვა ფუნქციებს უნდა ასრულებდეს:

”სწავლებათა დაკავშირებით: ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი იდეა არის ის, რომ მან შეამოწმოს ის, რასაც მე ვწერ და არა მან დამიდგინოს რაიმე სტანდარტი”

”ხარისხის უზრუნველყოფა დაკავებული უნდა იყოს შინაარსით და არა ფორმით რასაც ის აკეთებს”.

ამავე დროს, რიგ პროფესორს ესმის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამგვარი ფუნქციები მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შექმნილი არ არის, უნივერსიტეტის ხუსები აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მითითებებს ითვალისწინებს: ”მან კარგად მოირგო ცენტრის როლი, ამ ცენტრის როლს ის

კარგად ასრულებს, ეს აკრედიტაციის სამსახურის პრობლემაც არის, რომელიც მუშაობს საქართველოში”

ასევე, ზოგიერთი პროფესორი თვლის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზედმეტად ბიუროკრატიული ორგანო გახდა და ეს კარგს არაფერს მოუტანს ჩვენს უნივერსიტეტებს:

“ინფორმაციის ანალიზის გარეშე მიწოდება და ის, რომ ჩვენი ინიციატივა არის ჩაკლული, ფუნქცია შეითვისა ბიუროკრატიული აპარატის და ეს არ მომწონს”.

”ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აუცილებელია, მაგრამ მან უნდა შეცვალოს თავისი მუშაობის ფორმა, ფუნქცია არის, რომ ამდღედეს ხარისხი, მაგრამ არ უნდა იყოს გადასული ქალაქდომანიაზე! ქალაქდებით არ იცვლება სწავლის დონე, პირიქით, რაც უფრო მეტი ქალაქდია, მით უფრო ეცემა სწავლის დონე, აი მაგალითად, ავიღოთ საბერძნეთის განათლების სისტემა, სულ ბიუროკრატიული მექანიზმები ჩასვეს ყველგან, მე ეს ვიცი ძალიან კარგად, და ამის გამო, მაინც და მაინც მათი განათლების სისტემა არ არის კარგ დღეში, იგივე მოუვიდა საფრანგეთსაც, რატომ არ ვამბობთ ამას აშშ-ზე? იმიტომ, რომ აშშ-ში ბიუროკრატიული მექანიზმები არის ნაკლები, უფრო მეტი ავტონომია აქვს მინიჭებული უნივერსიტეტსაც და ფაკულტეტსაც; და როცა ამბობენ უნდა მოხდესო შეფასების სტანდარტიზაცია, რაც მე არ მიმაჩნია სწორად, შეფასების ზოგადი კრიტერიუმები შეიძლება დადგინდეს, მაგრამ სპეციფიკა ყველა უნივერსიტეტს თავისი აქვს, ძნელია მორგება.”

პროფესორები ისურვებდნენ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შემდეგ ფუნქციებს ასრულებდეს:

- პროგრამების გარე შეფასებას, თუმცა, რესპონდენტი აქვე დასძენს, რომ ეს ძალიან რთული განსახორციელებელია, საჭიროა მათ თარგმანი, უცხოელი კოლეგების მოძებნა და ა. შ.
- ტრენინგებს: ”ტრენინგები ძალიან აუცილებელია ცოტა გასაგებ ენაზე, ტრენინგები საჭიროა, რათა გავიგო და ვიცოდე ის ტერმინები რომლებზეც მთელი მსოფლიო საუბრობს. ტრენინგები ტარდება, იყო ორი დიდი შეხვედრა მაგრამ არა პროფესურის დონეზე. ჩარჩო არის, მაგრამ როცა მის შევსებას იწყებ, გიჩნდება უამრავი შეკითხვა არის ტრენინგები მაგრამ საჭიროა უფრო მეტი”.
- მხოლოდ წარმოდგენილი სილაბუსის საფუძველზე პროფესორის, როგორც ლექტორის შეაფასება არ არის საკმარისი. პროფესორებმა თავად უნდა შეამოწმონ ერთმანეთი, რამდენად კარგი ლექტორები არიან ისინი და ეს ფუნქცია თავის თავზე ხუსმა უნდა აიღოს: ”უნდა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი. უნდა ხდებოდეს ლექტორების მონიტორინგი, რამდენად პოპულარულ ენაზე საუბრობს, რამდენად პრეზენტაცია კარგი აქვს, რადგან მარტო კურიკულუმით შეუძლებელია ლექტორის შეფასება”.
- ხუს-მა უნდა გამოკითხოს სტუდენტები, რამდენად მოსწონთ მათი პროგრამები და რატომ მოდიან არ მოდიან სტუდენტები პროგრამებზე

- პროფესორები მეტად უნდა იყვნენ ჩართულები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობაში:

*”ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია, ჩემი აზრით, უნდა იყოს რეკომენდაციის მიმცემი, გამზიარებელი, პროფესორების, სამეცნიერო დეპარტამენტის, კათედრის გამგეების თუ სხვათა აზრის და ეს უნდა ხდებოდეს მოლაპარაკების, ვიწრო შეხვედრის, განსჯის გზით”.*

*”ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოლეგიალური ორგანო უნდა იყოს, ისინი ერთად უნდა დასხდნენ, დაგვიძახონ, ერთად დავამუშაოთ და აი, ისინი ამას არ ასრულებენ, აქედან გამომდინარე, ეს არის წმინდა ბიუროკრატიული მექანიზმი ჩვენს უნივერსიტეტში ამ ეტაპზე”.*

## **ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახასიათება განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის თანამშრომლების მიერ**

### **დასავლეთის გამოცდილების გათვალისწინება**

აკრედიტაციის სამსახურის თანამშრომლები ითვალისწინებენ დასავლურ გამოცდილებას, ბოლონიის პროცესი, რომელსაც ისინი მიჰყვებიან, სწორედ დასავლური გამოცდილების გათვალისწინებას მოითხოვს.

უცხოეთში არსებებოს სააგენტოები, რომელთა აკრედიტაციას ახორციელებს მთავრობა, ამის შემდეგ მთავრობა მათ ენდობა, შესაბამისად, ენდობა მათ მიერ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებს. საქართველოს აკრედიტაციის ცენტრს მსგავსი რამ არ აქვს გავლილი, თუმცა როგორც თანამშრომლები ამბობენ, მიმდინარეობს მუშაობა ამაზე. აგრეთვე, სასურველია, აკრედიტაციის ეროვნულმა ცენტრმა გაიაროს ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სათანადო ორგანიზაციის აკრედიტაცია, ასეთ შემთხვევაში, ჩვენი უმღლესების დიპლომები აღიარებული იქნება ევროპაშიც.

კონკრეტულად რომელიმე ქვეყნის მოდელი ცენტრს არ აქვს გადმოტანილი, მაგრამ ევროპულ გამოცდილებას ითვალისწინებენ, თუმცა ერთ-ერთ თანამშრომელს ამერიკული მოდელი უფრო მოსწონს. არ აუღიათ რომელიმე კონკრეტული ქვეყანა და მისი სტანდარტების გადმოღება არ მოუხდენიათ, ცდილობენ შეაერთონ რამდენიმე სხვადასხვა, მოიძიონ სხვადასხვა ქვეყნებში და აქ ერთგვარი ნაკრები გააკეთონ.

### **აკრედიტაციის ცენტრის და საბჭოს დამოუკიდებლობა**

აკრედიტაციის სამსახურის თანამშრომლები ითვალისწინებენ სახელმწიფო სტრუქტურების აზრს იმაში, თუ რა პარამეტრებით უნდა იყოს შერჩეული უმაღლესი სასწავლებელი, რომ მან მიიღოს აკრედიტაცია. რადგან სახელმწიფო



გრანტებიდან ფული მიდის უმაღლეს სასწავლებლებში, მას სურს სტანდარტების შემუშავებაში თვითონაც მიიღოს მონაწილეობა. ასევე ითვალისწინებენ უმაღლესი დაწესებულებების ინტერესებს, მათგან იღებენ რჩევებს სამიტების დროს, ასევე ელექტრონულადაც.

ცენტრი არის საჯარო სამართლის უირიდიული პირი - დამოუკიდებელი. შესაბამისად, პასუხისმგებელი პირდაპირი ხაზით არავის წინაშე არ არის, თუმცა ცენტრი შექმნილია სამინისტროს მიერ და პასუხისმგებელია იმ მიმართულებით, რომელზეც სამინისტრომ მოახდინა დელეგირება. ამ კუთხით საქმიანობის შეფასება ხდება და საქმიანობის შემოწმება.

*„ამ კუთხით ჩვენ პასუხისმგებლები ვართ შევასრულოთ მისი კანონის მოთხოვნები და განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. კონკრეტულად შეიძლება ეს იყოს მინისტრის ბრძანება, რომელიც არის ზოგადი და განათლების სფეროს შეეხება, ამ შემთხვევაში, ჩვენ პასუხისმგებლობა გვაქვს, რომ კანონმდებლობა დავიცვათ და ამ შემთხვევაში თუნდაც, მინისტრის ბრძანება იქნება ეს, თუ პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტი, ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ. სხვა შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ჩვენ არ გვაკისრია არავის წინაშე.“*

ერთი თანამშრომელი კი ამბობს, რომ განათლების აკრედიტაციის ცენტრი და აკრედიტაციის საბჭო ნაწილობრივ განათლების სამინისტროს წინაშე არიან პასუხისმგებელნი. მისი აზრით, კარგი იქნება, თუ აკრედიტაციის სამსახური გახდება კიდევ უფრო დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან, რადგან ის მოთხოვნები, რომელსაც სახელმწიფო უყენებს აკრედიტაციის სამსახურს, რომ შემდეგ მათ მოთხოვონ უმაღლეს სასწავლებლებს, სულაც არ არის ხარისხის განმსაზღვრელი. ასე რომ, ცენტრის ნაწილობრივ პასუხისმგებლობას განათლების სამინისტროს წინაშე ცენტრის თანამშრომელი არ თვლის სწორად, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ აკრედიტაციის საბჭო არის დამოუკიდებელია:

*“როგორც მე ვხვდები... ცენტრი პასუხისმგებელია... ნაწილობრივ განათლების სამინისტროს წინაშე. რაც მაინც არ არის სწორი. ქმედებებით საბჭო დამოუკიდებელია”.*

### **განათლების აკრედიტაციის ცენტრის ფუნქციების და თანამშრომლების დახასიათება**

ცენტრი შედგება სხვადასხვა დეპარტამენტისაგან, რომლებსაც კონკრეტული სფერო აზარია. ეს დეპარტამენტებია:

- აკრედიტაციის დეპარტამენტი, რომელიც მუშაობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციაზე.
- მობილობის პროცესზე მომუშავე დეპარტამენტი მუშაობს სტუდენტების ერთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებიდან მეორეში გადასვლის პროცესზე,
- საზღვარგარეთ გაცემული დოკუმენტების აღიარების საკითხზე მომუშავე დეპარტამენტი.

- იურიდიული სამსახური; აქ ფუნქციები გადანაწილებულია შესაბამისი სფეროს მიხედვით.
- რეესტრის სამსახური, რომელშიც ასახულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ყველა მონაცემი.

ცენტრში არის მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ა.შ. ზოგს, სხვა თანამშრომლებთან შედარებით, მეტი ფუნქცია აკისრია. ცენტრს ჰყავს ექსპერტები და კომპიუტერული ტექნოლოგიების პერსონალი.

ცენტრის პერსონალის და ექსპერტების შერჩევა ხდება კონკურსის წესით.

ცენტრის თანამშრომლები მუდმივად გადიან ტრენინგებს არამხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც:

*“ძალიან ბევრი პროექტი იყო კვალიფიკაციის ამაღლების, მე პირადად ძალიან ბევრი მაქვს გავლილი, ტრენინგებიც მაქვს გავლილი, საქმიანი მიმოწერაც მაქვს გავლილი, ძალიან ბევრი, სახელწოდებები აღარ მახსოვს. ყველა ჩვენთაგანს გვაქვს სერთიფიკატები.“*

ცენტრის ზოგი თანამშრომელი თვლის, რომ საკმარისი რაოდენობითაა ეს ტრენინგები ჩატარებული, ზოგი კი - არა. ასევე, მათი აზრით, ტრენინგები ყველა სფეროში აუცილებელია, საჭიროა ბოლონიის ყველა პრინციპზე. თუმცა ზოგი თვლის, რომ სისუსტეები არ აქვთ, გონიათ, რომ ცენტრის თანამშრომლები საკმარისად მომზადებულნი არიან.

ექსპერტებისთვის მნიშვნელოვნად თვლიან ტრენინგის ჩატარებას თემაზე - რა არის უმაღლესი. მათ უნდა იცოდნენ ძალიან კარგად კანონმდებლობა, რომელის საფუძველზეც უნდა იმოქმედონ, ძალიან კარგად უნდა იცნობდნენ ექსპერტის ეთიკის კოდექსს. სხვადასხვა ეტაპზე ექსპერტებისთვის საჭიროა ტრენინგი ახალი სტანდარტების უკეთ გაცნობისთვის.

### **განათლების აკრედიტაციის ცენტრის სტრატეგია, ფუნქციები**

აკრედიტაციის სააგენტოს აქვს მისია, რომ ხარისხის გაუმჯობესება მოახდინონ საქართველოში და ეს გაკეთონ იმ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პროცესში. ეს არის მათი სტრატეგია, ის შემუშავდა 2009 წელს, მისია არ იცვლება და მუდმივია.

*“სტრატეგიული გეგმის შედგენა ხდება ცენტრის ყველა თანამშრომლის აქტიური მონაწილეობით, თვითონ თანამშრომლებს ეგზავნებათ ინფორმაცია ამის შესახებ და ყველას აქვს შესაძლებლობა საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს და ამ სამუშაო*

*მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, საერთო თათბირზე განვიხილავთ და ხდება საბოლოოდ მისი დამტკიცება.”*

აკრედიტაციის სააგენტოს შიგნით ხდება სამოქმედო გეგმის შედგენა, სტუდენტები და ლექტორები არ მონაწილეობენ ამ პროცესში. ცენტრის ყველა სტრატეგიულ ერთეულს აქვს თავისი გეგმა, ამ გეგმების ერთობლიობა არის ცენტრის სამოქმედო გეგმა, რასაც იხილავენ ერთად თანამშრომლები. არის დაგეგმილი სამუშაო, შესაბამისად, თუ ეს ცენტრის დონეზე განიხილება, არის საბოლოო ვადები.

აკრედიტაციის სამსახური არ ინტერესდება, რას და როგორ აკეთებენ ხარისხის უზურნველყოფის სამსახურები უნივერსიტეტებში, ეს არ არის აკრედიტაციის სამსახურის ფუნქცია.

აკრედიტაციის სამსახურის მუშაობა გამჭვირვალობის პრინციპზეა აგებული, ნებისმიერი სიახლე დევს ვებ გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია თავისი პოზიცია დააფიქსიროს ამ საკითხებთან დაკავშირებით; ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტის შედგენა რამდენიმე თვის წინ მოხდა საფრანგეთიდან ჩამოსული წარმომადგენლის, სტუდენტების, უნივერსიტეტის წარმომადგენლების და პოტენციური დამსაქმებლების აქტიური მონაწილეობით. მაგრამ, როცა საქმე შეეხება შიდა ორგანიზაციულ საქმიანობას, ცენტრის შიგნით, ასეთ შემთხვევაში მხოლოდ თანამშრომლები განიხილავენ მას.

**განათლების აკრედიტაციის ცენტრის ურთიერთობა უნივერსიტეტებთან**

აკრედიტაციის სამსახურს უნივერსიტეტები თავის საქმიანობაში ჩართული ყავს აკადემიური ფორუმების სახით. ასეთი ფორუმი მე-13-ე ჩატარდა უკვე, მასზე დასწრება უნივერსიტეტებისთვის ნებაყოფილობითია, ტარდება ყოველთვის რომელიმე უნივერსიტეტში. ცენტრის წევრები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტებს ამ ფორუმებში ჩართვის ძალიან მაღალი ხარისხი აქვთ.

უნივერსიტეტებს აკრედიტაციის მისაღებად თხოვენ აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებას. სამი ძირითადი სტანდარტია: 1)ადამიანური რესურსი, 2)პროცედურები, ანუ რა ვადაში უნდა შემოიტანონ, 3)თვითშეფასების კითხვარი, რომელიც უნდა შეავსონ იმის მიხედვით, თუ როგორ აკმაყოფილებენ სტანდარტს.

თვითშეფასების კითხვარის მეშვეობით ამოწმებენ უნივერსიტეტებს, ასევე შემთხვევითადაც ამოწმებენ, თუ რაიმე იწვევს ეჭვს. წელიწადში ერთხელ ყველა უმაღლესმა თვითშეფასების ანგარიში უნდა წარმოადგინოს აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში.

ზოგი თანამშრომლისთვის რაღაც სტანდარტები არ არის ბოლომდე მისაღები, ისინი წინააღმდეგობას გამოხატავენ იმის გამო, რომ ხშირად აკრედიტაციის გასაცემად ცენტრი ფორმალური კრიტერიუმებით მსჯელობს, მაგალითად, კონკრეტულ ვადაში თუ არა აქვს გამოცხადებული უნივერსიტეტს რაღაცა, შეიძლება, ვერ მიიღოს აკრედიტაცია. თანამშრომელთა აზრით, ეს ხარისხთან არავითარ კავშირში არ არის. და მათი აზრით, ეს არის გარღვევა სტანდარტსა და რეალურ ხარისხს შორის. თუმცა, აღნიშნავენ, რომ ეს ცენტრის ბრალი არ არის, მუდმივად მუშაობენ ამ საკითხზე. უნივერსიტეტები გამუდმებით ჩართულები არიან სტანდარტების შეცვლის პროცესში.

უნივერსიტეტები ასრულებენ აკრედიტაციის სამსახურის მოთხოვნებს. რეკომენდაციებსაც ითვალისწინებენ. ყველა აკრედიტებული სასწავლებელი ასრულებს ძირითად მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებიან აკრედიტებული. ზოგიერთი უფრო მაღალ სტანდარტს უწესებს თავის თავს იმისთვის, რომ უფრო კონკურენტუნარიანი იყოს ბაზარზე.

აკრედიტაციის სამსახურის თანამშრომლების სურვილია, რომ უმაღლესებმა ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნონ:

*“აკრედიტაცია არის მინიმალური მოთხოვნა არესებულ კონკურენტულ უნარიან გარემოში, რაც უფრო მაღალია უნივერსიტეტების ხარისხი, მით უფრო მით უფრო მომხიბვლელი არის ის სტუდენტებისთვის”*

საუნივერსიტეტო პროგრამების შეფასებისას ამოწმებენ პროგრამის კურიკულუმს, სილაბუსს ყველა შემავალი საგნისას, ამოწმებენ შეფასების ადეკვატურობას, ორგანიზების თავისებურებებს, მიზნებს, შედეგებს.. მოწმდება კრედიტების განაწილება.

რესპონდენტთა აზრით, უმაღლესები ინდივიდუალურად დამატებით მოთხოვნებს უყენებენ სილაბუსებს, შესაბამისად, ვიღებთ გასწავლებული დიზაინის სილაბუსებს და კურიკულუმებს. მაგრამ აქ უნივერსიტეტებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი პროფესორები, *“იმისთვის რომ ეს არ იყოს სიახლე პროფესორისთვის ახალი სასწავლო წლის დაწყებისას, საჭიროა მეტი ჩართულობა მათი ამ პროცესში”*. ანუ, აკრედიტაციის სამსახურის წამორმადგენლები აღნიშნავენ, რომ საჭიროა პროფესორთა მეტი ჩართულობა აკრედიტაციის პროცესებში უნივერსიტეტების შიგნით.

### **განათლების აკრედიტაციის ცენტრის და საბჭოს მუშაობის შედეგი**

ნაწილი ხედავს მუშაობის შედეგს - *„ყოველი ახალი სტანდარტის შემუშავება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმია, თუ ამას ფებს აუწყობს უმაღლესები, ჩვენი საქმეც და ქვეყანაც წინ მიდის.”* ნაწილი ვერა - *„რეალურად ხარსხზე არ ვმუშაობთ და შედეგსაც ნაკლებად ვხედავთ.“*

ძირითად მიღწევად ზოგი არაფერს არ მიიჩნევს, რადგან რეალურად ხარისხზე არ მუშაობენ. ზოგის აზრით, კი ძირითადი მიღწევაა განათლების ხარისხის ამაღლება, სწავლის ხარისხის ამაღლება, ძალიან დიდ მიღწევად თვლიან იმას, რომ აქვთ მაქსიმალური კონტაქტი უნივერსიტეტებთან და ეხმარებიან მათ ხარისხის გაუმჯობესებაში.

ძალიან დიდ მიღწევად თვლიან იმას, რომ გადავიდნენ აკრედიტაციის უფრო ხარისხობრივ მეთოდზე და აღარ აქვთ მხოლოდ რაოდენობრივი მექანიზმი. ახლა აკრედიტაციისათვის აღარ არის განმსაზღვრელი უნივერსიტეტის ფართი, მთავარი არის ხარისხი. შეფასება ეფუძნება შინაარსობრივ და თვისებრივ ელემენტებს.

აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები ხედავენ ასევე სირთულეებსაც: *”პრობლემა არის ის, რომ საქართველოში პირველი საფეხურის უმაღლესი სასწავლებლები, ანუ კოლეჯები არ არის წამყვანი ჩვენს ქვეყანაში, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები არ არის სათუთი თემა. საჭიროა მაქსიმალურად წინ წამოიწიოს პროფესიული სასწავლებლები, რადგან აუცილებელია, ქვეყანაში იყოს უმაღლესი განათლების ეს მიმართულებაც განვითარებული”.*

ზოგ თანამშრომელს პრობლემად მიაჩნია ის, რომ ცენტრს უწევს ბევრი ინტერესების გათვალისწინება აკრედიტაციის კრიტერიუმების შემუშავებისას - ხანდახან საჭირო ხდება დათმობებზე წასვლა, რადგან მკაცრი კრიტერიუმების შემთხვევაში, შესაძლოა, ბევრმა უნივერსიტეტმა ვერ გაიაროს აკრედიტაცია. ზოგს კი მატერიალური პირობები აწუხებს, მაგალითად, ის, რომ კომპაქტურად არიან განთავსებული, მაგრამ ეს პრობლემა მოგვარებადია, მალე ახალ შენობაში გადადიან.

## **აკრედიტაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და პროფესორების მონაცემების შედარება**

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის, უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და პროფესორების გამოკითხვის შედეგებისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გამოიკვეთა, არის „ჩართულობის“ საკითხი: რამდენად არიან ჩართულები ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, და რამდენად არის ჩართული აკადემიური პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში. არის თუ არა ეს ჩართულობა რეალური, თუ ხდება მხოლოდ „ზევიდან ქვევით“ მითითებებისა და დავალებების მიცემა?

აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლების მიხედვით, გადაწყვეტილებები, რომლებსაც იღებს სააგენტო (გარდა ცენტრის შიდა ორგანიზაციული საკითხებისა), ეფუძნება აკადემიურ სამიტებსა და საჯარო განხილვებს, რომლებშიც მონაწილეობენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები და, შესაბამისად, აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას. რაც შეეხებათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, მათ ნაწილს მიაჩნია, რომ

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ითვალისწინებს მათ აზრს და აქტიურად რთავს პროცესებში (მაგ.: თელავისა და თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენლები), ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი აზრის გათვალისწინება ნაკლებად ხდება (მაგ. ილიას უნივერსიტეტი და ქუთაისი ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია, ისმენენ მათ მოსაზრებებს, თუმცა უმეტესწილად არ ითვალისწინებენ მათ და აკრედიტაციის ცენტრთან ურთიერთობა უმეტესად განისაზღვრება იმით, რომ შეასრულონ მათი მითითებები და მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია.

პროფესორების აზრით, მითითებების შესრულების სახე აქვს პროფესორ მასწავლებლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის ურთიერთობასაც. რაც შეეხებათ ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებს, ისინი აღნიშნავენ, რომ ითვალისწინებენ პროფესორ-მასწავლებლების აზრს და რომ ხარისხის უზრუნველყოფაში ისინი აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები. მიღებული შედეგების მიხედვით, პროფესორები ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, ზოგ უნივერსიტეტებში მონაწილეობენ, ზოგში კი - არა. (მაგალითად თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენლის მიხედვით პროფესორები მონაწილეობენ აღნიშნულ პროცესში, ხოლო ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლი ამბობს, რომ არ მონაწილეობენ.) მონაწილეობაში უმეტესწილად იგულისხმება სილაბუსებისა და პროგრამების ერთობლივი შეფასება. მაგრამ პროფესორები არ მონაწილეობენ დოკუმენტაციისა და ინსტრუქციების შედგენის პროცესში, რაშიც პროფესორების ნაწილი ისურვებდა, რომ მიეღოთ მონაწილეობა. მეტი კოლეგიალობა და მეტი შეხვედრები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან - ესც არის ის, რაც პროფესორების აზრით, საჭირო კომპონენტებია. ისინი აცნობიერებენ, რომ რეალური შედეგებისთვის აქტიური მონაწილეობა არის საჭირო.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის მითითებების სწრაფი ცვლილება. პროფესორები მიიჩნევენ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების დავალებები და მითითებები საკმაოდ ბევრია და, ამავდროულად, ხშირად იცვლება. (მაგ.: სილაბუსის ცვლილებები). პროფესორების აზრით, სილაბუსების ასე სწრაფი ცვლილება მათი შრომის ნაყოფიერებაზე, შეიძლება ვერც უარყოფითად, მაგრამ ვერც დადებითად ნამდვილად ვერ აისახება: ეს ყოველივე ემსგავსება „ქალაქლომანის“ და ხარისხის გაუმჯობესებაზე გავლენას ვერ ახდენს.

განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხთან ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებს. ისინი მიიჩნევენ, რომ ახალი ფორმები განვითარებისთვის და ხარისხის გაუმჯობესებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, და შესაძლებელია, თავდაპირველად პროფესორებს არ მოსწონთ ცვლილებების შეტანის აზრი, რადგან ეს გარკვეულ მიშაობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ საბოლოო ჯამში კმაყოფილები რჩებიან მიღებული შედეგებით.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის მიხედვით, ამ ეტაპზე ცვლილებები საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს და უნივერსიტეტებმაც ფეხი უნდა აუწყონ ამ მათ. ხოლო იმისთვის რომ ცვლილებების აყოლა წარმატებით

განხორციელდეს, აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში პროფესორების აქტიური ჩართვა.

საინტერესოა, ასევე, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწვდის პროფესორებს მითითებებს, რომლების სამსახურის წარმომადგენლების თქმით, უმეტესად არის ნებაყოფლობითი. პროფესორები აღნიშნავენ, რომ ამ მითითების შესრულება არის სავალდებულო.

რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას, პროფესორების მიხედვით, მისი ძირითადი ფუნქცია არის ხარისხის ამაღლება უნივერსიტეტში. პროფესორების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამას კარგად ასრულებს, თუმცა არის ისეთი მოსაზრებებიც, რომელთა მიხედვითაც, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მეტესად „ფორმების შევსებაზე“ არის გადასული და არა რეალურად ხარისხის ამაღლებაზე. თსუ-ს ერთ-ერთი პროფესორის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს იმაზე მეტი ფუნქციაც კი აქვს აღებული თავის თავზე ვიდრე უნდა ჰქონდეს. მაგალითად მისი ფუნქცია უნდა იყოს არა პროგრამების შეფასება იმ კუთხით კარგია ის თუ ცუდი, არამედ უნდა ფასდებოდეს დოკუმენტში გაწერილის შესაბამისობა რეაობასთან.

საინტერესოა, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული ტრენინგების საკითხები. პროფესორ-მასწავლებლები, აღნიშნავენ, რომ საკმაოდ ტრენინგები ტარდება, მაგრამ სასურველი იქნებოდა კიდევ უფრო მეტის ჩატარება. ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დიდი არის ტრენინგებით დაინტერესება პროფესორების მხრიდან, თუმცა მათი, აზრით, ისინი საკმაოდ ბევრ ტრენინგს ატარებენ. მათზე დასწრება უმეტესად ნებაყოფლობითია, ამიტომ თვითონ პროფესორები ირჩევენ დაესწრონ თუ არა მათ.

პროფესორების აზრით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო მეტად უნდა ჩართოს სტუდენტებიც. ეს განსაკუთრებით ეხება ლექტორების შეფასებას, რადგან მათი აზრით, შეფასება მხოლოდ ერთი კომპონენტით - სილაბუსის შედგენით - არ უნდა ხდებოდეს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიხედვით კი, სტუდენტები საკმაოდ არიან ჩართულები ხარისხის შეფასების პროცესში. ამ ჩართულობას, როგრც წესი კვლევის სახე აქვს - კერძოდ ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი პროფესორების შეფასებაც არის (არსებობს ასევე ლექტორების შეფასების ელექტრონული ფორმები, რომლების შევსებაც სავალდებულოა სტუდენტებისთვის). სტუდენტების უფრო აქტიურ ჩართულობაზე საუბარი არის თელავის ინივერსიტეტში, სადაც იგეგმება სტუდენტების წარმომადგენლების ჩართვა ხარისხის შეფასების პროცესებში.

### **დასავლეთის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებთან შედარება**

როდესაც საქართველოში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას ვადარებთ ევროპის ქვეყნებში არსებულ ხარისხის სისტემას, პირველ რიგში, თვალშისაცემია სხვაობა, რომელიც ეხება გარე შეფასებას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსტეტებში სწავლებისა და არსებული პროგრამების ხარისხის გარე შეფასება უმნიშვნელოვანესია, როგორც ირლანდიის ასევე ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. ორივე ქვეყნის შემთხვევაში, უნივერსტეტში არსებული შიდა შეფასების გვერდით არსებობს ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების სააგენტოები.

რაც შეეხება საქართველოში ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასებას, ჩვენ მიერ გამოკითხული 7 უნივერსტეტის წარმომადგენლებიდან, მხოლოდ ორმა აღნიშნა, რომ აქვთ სისტემის გარე შეფასება. თსუ-ს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ აქვს გარე ექსპერტიზა, კერძოდ კი აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი „პროგრამების ანონიმური ექსპერტიზა“. და, ასევე, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ გააჩნიათ გარე შეფასება, რომელსაც წარმოადგენს ზალცბურგის უნივერსტეტის შეფასება. თუმცა, ზევით განხილული ირლანდიის (კერძოდ კორკის) და ესტონეთის უნივერსტეტების მსგავსად ერთი საერთო სისტემა უნივერსტეტებში ხარისხის გარედან შეფასებისა არ არსებობს.

გარდა აღნიშნული სააგენტოსა, მნიშვნელოვანია უცხოელი ექსპერტის როლიც, რომელიც ჩართულია გარე შეფასების პროცესში, როგორც ირლანდიის, ასევე ესტონეთის უნივერსტეტებში. საქართველოში მსგავს გამოცდილებას უნივერსტეტების წარმომადგენლები არ ასახელებენ (გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტისა, სადაც ახლახან დაიწყო უცხოელი ექსპერტის შეფასების გამოყენება).

მეორე მნიშვნელოვანი სხვაობა, არის აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

საქართველოში უნივერსტეტების ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საკმაოდ მაღალია აკადემიური პერსონალის ჩართულობა, თუმცა თვითონ პროფესორების სურვილია, მეტად გაითვალისწინონ მათი აზრი. ასევე, შედეგები აჩვენებს, რომ პროფესორების ჩართულობის ინტენსივობა დამოკიდებულია მათ ხარისხსა და პოზიციაზე.

სტუდენტების ჩართულობას და მათგან უკუკავშირს ნიშნელოვანი ადგილი უჭირავს ბრიტანეთისა და ესტონეთის უნივერსტეტებში (ბრიტანეთში ხდება როგორც სტუდენტების გამოკითხვა, ასევე მათგან წერილობითი უკუკავშირის მიღება, ტარდება ტრენინგები თვითმართველობის ლიდერებისთვის, რომ უკეთ მოხერხდეს შეფასება. კორკის უნივერსტეტში შიდა შეფასება სწორედ სტუდენტების გამოკითხვაზე დაყრდნობით ხორციელდება). საქართველოს უნივერსტეტებშიც აღინიშნება სტუდენტების ჩართულობა ხარისხის შეფასების პროცესებში, რომელიც უმეტესად გამოიხატება სტუდენტების გამოკითხვებით. თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამგვარი ჩართულობა არ არის საკმარისი და სურთ, რომ სტუდენტების თანამონაწილეობა გაზარდონ.

რაც შეეხებათ დამსაქმებლებს, მათ გამოკითხვასა და აზრის გათვალისწინებას პროგრამების შედგენა-შეფასებისას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიდი



ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში, ხოლო საქართველოში, მხოლოდ თავისუფალ უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტში, აღნიშნავენ ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები, რომ შეისწავლიან ბაზარს, ითვალისწინებენ დამსაქმებლების მოთხოვნებს და იყენებენ მათ პროგრამების შედგენისას.

რაც შეეხება შიდა შეფასებას, კორკის უნივერსიტეტში, ის ხორციელდება სამ დონეზე: პროგრამის, ფაკულტეტისა და ერთეულის დონეზე. რაც შეეხება საქართველოს უნივერსიტეტებს აქ, ესტონეთის უნივერსიტეტის მსგავსად, შიდა შეფასება უმეტესად მიმდინარეობს აკრედიტაციის სამსახურისთვის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშის წარმოდგენის სახით.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტაციის საააგენტოები უნივერსიტეტებიდან მიღებულ თვითანგარიშებს იხილავენ და რეკომენდაციებს უგზავნიან უნივერსიტეტებს. უნივერსიტეტები, თავის მხრივ, ვალდებული არიან გაითვალისწინონ ეს რეკომენდაციები. კორკის უნივერსიტეტში, მაგალითად, ხარისხის შეფასების შემდეგ იწერება რეკომენდაციები, ხოლო თვითონ უნივერსიტეტის წარმომადგენელი წერს ანგარიშს, თუ როგორ მოხდა შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

## **უნივერსიტეტების ერთმანეთთან შედარება**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა განხილულ უნივერსიტეტებში მუშაობა 2005 – 2006 წლებიდან დაიწყეს, მხოლოდ კავკასიის უნივერსიტეტმა დაიწყო მუშაობა 2007 წლიდან.

კვლევის ფარგლებში განხილულ შვიდივე უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა დამოუკიდებელია სამსახურია. მისი სტრუქტურა და თანამშრომლების რაოდენობა დამოკიდებულია უნივერსიტეტის სიდიდეზე. მაგ.: თავისუფალ უნივერსიტეტში ჰყავთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხოლოდ ერთი თანამშრომელი, მაშინ როდესაც თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, გარდა სპეციალისტებისა, ყველა ფაკულტეტზე თავისი წარმომადგენელი ჰყავს. აღსანიშნავია, რომ ილიას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მათთან სამსახური ორი ნაწილისგან, კერძოდ, პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და კვლევების ნაწილისგან შედგება.

რაც შეეხება სტრატეგიულ გეგმებს, ისინი ყველა უნივერსიტეტში არის წარმოდგენილი. სტრატეგიული გეგმები უნივერსიტეტების მიხედვით, განსხვავდება ხანგრძლივობით, მაგალითად თელავის უნივერსიტეტში შემუშავებული აქვთ 5 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, თავისუფალ უნივერსიტეტში - მოკლევადიანი გეგმები. ისევე როგორც კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი, თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელიც საუბრობს მიზნებზე ზოგად ცნებებში - სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. თსუ-ში ამჟამად განხილვის პროცესშია სტრატეგიული გეგმის

სამუშაო ვარიანტი და ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არ არის როგორი იქნება მისი საბოლოო სახე და ექნება თუ არა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ცალკე სტრატეგიული განვითარების გეგმა თუ უნივერსიტეტის გეგმასთან გაერთიანდება. გადახედვის პროცესშია ილიას უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაც.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქციები, მეტნაკლებად ერთმანეთის მსგავსია. საინტერესოა, რომ ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაში შედის ინფორმაციის გაცემა, თუ სტუდენტი რეალურად სწავლობდა ამ უნივერსიტეტში. სხვა მხრივ ფუნქციები ერთმანეთს მეტ-ნაკლებად შეესაბამება.

ხარისხის შესაფასებლად უნივერსიტეტებში გამოიყენება მხოლოდ შიდა მექანიზმები. შეფასებები აისახება თვითშეფასების ყოველწლიურ ანგარიშში. გარე შეფასებები უნივერსიტეტებში არ არის გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადაც, უცხოელი ექსპერტის შეფასების გამოყენება დაიწყო. ასევე აღსანიშნავია, კავკასიის უნივერსიტეტი, სადაც საუბარია ზალცბურგის სემინარის მხრიდან შეფასებაზე.

ერთმანეთის მსგავსი მდგომარეობაა უნივერსიტეტებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართვის თვალსაზრისითაც. რაც შეეხება დამსაქმებლის ინტერესების გათვალისწინებას, აქ აღსანიშნავია, თავისუფალი უნივერსიტეტი, რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებელთა აზრს და კავკასიის უნივერსიტეტი, რომელიც აწარმოებს ბაზრის მარკეტინგულ შესწავლას. დანარჩენი უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიხედვით, ბაზრის შესწავლა მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა ამისათვის საკმარისი სახსრები უნივერსიტეტს არ გააჩნია.

მნიშვნელოვანია, ასევე აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან ურთიერთობაც. ხარისხის უნივერსიტეტების წარმომადგენლები, ისევე როგორც ამავე უნივერსიტეტების წარმომადგენლები, ერთხმად აღნიშნავენ აკრედიტაციის ცენტრთან აქტიურ თანამშრომლობის არსებობას, რაც გამოიხატება მათ მიერ ჩატარებულ აკადემიურ სამიტებსა და ტრენინგებში მონაწილეობით, სიახლეების საქმის კურსში ყოფნითა და, რა თქმა უნდა, მათი მითითებების შესრულებითა და ყოველწლიური ანგარიშების წარდგენით.

## **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების შედარება უმაღლესი განათლების კანონთან**

უმაღლესი განათლების კანონში წერია რამდენიმე ფუნქცია, რომელსაც შესწავლილი უნივერსიტეტების უმეტესობა ან საერთოდ არ, ან ნაკლებად ახორციელებს. ესენია:

- კვლევის ხელშეწყობა;
- საზღვარგარეთის შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობა;
- სტუდენტების ჩართვა საკუთარ აქტივობებში.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს მიაჩნიათ, რომ სტუდენტები ჩართული ყავთ თავიანთ აქტივობებში, რადგან ისინი

პროფესორთა შეფასების კითხვარებს ავსებენ. სამწუხაროდ, კანონში არაფერი წერია პროფესორების ჩართულობის შესახებ, რაც, თავად პროფესორთა აზრით, ასევე დაბალია.

მართალია, კანონში პირდაპირ არ წერია, მაგრამ რადგან ხარისხის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა კანონის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობაა, მასვე ევალუა პროფესორთა ხელშეწყობა, რომ მათ გააუმჯობესონ სწავლებისა და კვლევის ხარისხი, ამისათვის, კი, სრულიად ლოგიკური გზა იქნებოდა მათთვის ამ თემებზე ტრენინგების ჩატარება. გამოკიტხულ უნივერსიტეტთა უმრავლესობა ამ საკითხზე საერთოდ არ საუბრობს, ან ჩვენს დასმულ შეკითხვას პასუხობს, რომ არ აქვს ასეთი მომსახურება. მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ტრენინგებს ატარებენ, თუმცა, ეს მათი ფუნქცია არ არის.

სამაგიეროდ, რამდენიმე უმაღლესი ითავსებს იმ ფუნქციებს, რომლებიც სასწავლო პროცესის უშუალო ორგანიზაციას ეხება, როგორცაა, მაგალითად, სტუდენტების დარეგისტრირება.

## დასკვნები

ამრიგად, შევაჯამოთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიღწევები და ნაკლოვანი მხარეები:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიღწევად როგორც უნივერსიტეტები, ასევე პროფესორები, თვლიან პროგრამებისა და სილაბუსების მოწესრიგებას. იმ ქაოტური მდგომარეობის ფონზე, რომელიც მანამდე არსებობდა საქართველოს უნივერსიტეტებში, ეს ნამდვილად მიღწევად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, ამავე დროს, პროფესორთა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილს ჯერ კიდევ არ ესმის სილაბუსის შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობა და არსი. ისინი საჭიროებენ ტრენინგებს, ისევე, როგორც თავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ნაკლად მიიჩნევენ პროფესორები იმას, რომ პროგრამებთან და სილაბუსებთან დაკავშირებული მოთხოვნები წამდაუწუმ იცვლება და მათ გამუდმებით უწევთ მათზე მუშაობა. მითითებების ასე ხშირი ცვლა აკადემიური პერსონალის უკმაყოფილებას იწვევს. ჩვენს მიერ გამოკითხული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა უმეტესობა ამ ნაკლს შესანიშნავად ხედავს და ხვდება, რომ მათი მოთხოვნები და დავალებები აკადემიური პერსონალის უკმაყოფილებას იწვევს, თუმცა, ამ მდგომარეობის შეცვლის გზას მაინც ვერ ხედავენ, რადგან, როგორც თავად ამბობენ, ისინი, თავის მხრივ, აკრედიტაციის ცენტრის მოთხოვნებს ასრულებენ.

თითქოსდა პარადოქსია ის, რომ როგორც აკრედიტაციის ცენტრის, ასევე უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების დავალებები უმეტეს შემთხვევაში რეკომენდაციის ხასიათს ატარებს, მაგრამ პროფესორთა დიდ ნაწილს და თავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების ნაწილს ისინი სავალდებულოდ მიაჩნიათ. რიგი პროფესორებისა აპროტესტებს ამ მდგომარეობას და მიიჩნევს, რომ რეკომენდაციების შესრულების სავალდებულოდ მოთხოვნა მათი აკადემიური თავისუფლების დარღვევაა. ამავე დროს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს აკადემიური პერსონალის იძულების ერთადერთი ბერკეტი აქვთ - პროგრამის არდამტკიცება. თუმცა, ასეთი შემთხვევები უნივერსიტეტებში ძალიან მცირეა და მხოლოდ სამაგისტრო პროგრამებს ეხება იმ შემთხვევაში, თუ ისინი სხვა პროგრამის დუბლირებას წარმოადგენენ.

ამავე დროს, პროფესორთა ნაწილს მიაჩნია, რომ მხოლოდ პროგრამებისა და სილაბუსების მოწესრიგება, ისიც ფორმალურად (გარეგნულად) სულაც არ არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია, რადგან მან უნდა შეამოწმოს უკვე არსებული პროგრამები, რომელთა შექმნაზეც სხვა ერთეული უნდა იყოს პასუხისმგებელი.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ყველა შესწავლილ უნივერსიტეტში იგივე გზებს იყენებს და ეს არცაა

გასაკვირი, რადგან ისინი საერთაშორისოდ აპრობირებული ხერხებია. ამჟამად, თელავის უნივერსიტეტის გარდა, ყველა იყენებს სტუდენტთა მიერ პროფესორების შეფასებას - ატარებენ გამოკითხვას, რომელშიც სტუდენტები გამოთქვამენ მოსაზრებას პროფესორების მიერ ჩატარებული ლექციების შესახებ. თუმცა, რამდენად გამართულად არის შედგენილი კითხვარები, რამდენად გამართულად ტარდება ეს გამოკითხვები და რამდენად იცნობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ამ კუთხით დასავლურ გამოცდილებას, ამ გამოკითხვას არ გამოუვლენია. ამავე დროს, იმავე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ინტერვიუ (ადრე ეს გამოკითხვები ტარდებოდა თელავში) აჩვენებს, რომ სტუდენტები აფასებდნენ პროფესორთა გარეგნობას, ჩაცმულობას და ა. შ., რაც დასავლეთის არცერთ უნივერსიტეტში არ ხდება. მართალია, მაგალითად, აშშ-ს უნივერსიტეტების ვებგვერდებზე დევს დიდძალი ინფორმაცია სტუდენტთა გამოკითხვის პროცედურის მრავალი ასპექტის შესახებ, მაგრამ თავად კითხვარებს აქ ვერ ნახავთ, ამიტომ, ამ, და რიგ სხვა შემთხვევაში, საჭიროა პირადი კონტაქტები ამგვარი გამოცდილების მისაღებად (კონტაქტები ამ მიზნით თსუ-ს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებს აქვს)

ასევე, პროფესორთა მიერ სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მხოლოდ თსუ ასახელებს პროფესორების მიერ ერთმანეთის შეფასების მეთოდის გამოყენებას, თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე ეს არ ჩანს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, არც თუ ისე ნათელია, შემდეგ რა მოყვება ამ ორი მეთოდის გამოყენებას. რჩება შთაბეჭდილება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ამას აკეთებენ იმიტომ, რომ უნდა გააკეთონ, რადგან ასე ხდება დასავლეთში და საქართველოს მეზობელ უნივერსიტეტში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქცია, უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით, არა მხოლოდ სწავლის, არამედ კვლევის ხარისხის გაუმჯობესებაცაა, მაგრამ მხოლოდ ორი - ილიას და კავკასიის უნივერსიტეტი (როგორც ხარისხის სამსახური, ასევე პროფესორები) საუბრობს კვლევის შესახებ, დანარჩენ უნივერსიტეტებში კვლევის და მისი ხარისხის საკითხს საერთოდ არ იხილავენ.

გარდა ზეომთხამოთვლილი ფუნქციებისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, სხვადასხვა უნივერსიტეტში სხვადასხვა ზომით, ჩართული არიან დიპლომის და მისი დანართის შედგენაში; სწავლის პირობების შემოწმება/შეფასებაში. თუმცა, აქაც, გაუგებარია, სად და რაში იყენებს შემდეგ უნივერსიტეტი ამ ინფორმაციას, ყოველ შემთხვევაში, პირობების გაუმჯობესება უკვე სხვა დეპარტამენტის ფუნქციაა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს ევალებათ, აგრეთვე, მობილობის ფარგლებში პროგრამიდან პროგრამაზე, ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე, უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტში მოძრავი სტუდენტების კრედიტების აღიარება და ამ ფუნქციას ყველა გამოკითხული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასრულებს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები დამატებით ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, როგორებიცაა სტუდენტის დიპლომის ავთენტურობის დადასტურება, რაც, აკრედიტაციის ცენტრის ფუნქციაა. ხოლო, იმავე აწესებს და კავკასიის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაა სტუდენტთა რეგისტრაცია, რასაც, ჩვეულებრივ, სასწავლო დეპარტამენტები ახორციელებენ. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის უნივერსიტეტში ამ ფუნქციებს მართლაც სასწავლო პროცესის მართვის და რეგისტრაციის სამსახური ასრულებს, უბრალოდ, ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დაქვემდებარებაშია. სტრუქტურის მხრივ, გამორჩეულია, აგრეთვე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დაქვემდებარებაში შედის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უმეტესობა არ ახორციელებს, რიგს ეს თავის ფუნქციად არ მიაჩნია, ხოლო რიგს არასწორად ესმის, როგორც უწყისების შევსების ინსტრუქცია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები სთხოვენ პროფესორებს მათი ინსტრუქციების და რჩევების გათვალისწინებას სტუდენტების შეფასების კომპონენტების და პროცედურების შესახებ, თუმცა, ეს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს არ ნიშნავს. ხარისხის გაუმჯობესების ეს ხერხი გამოიყენება დასავლეთში, რადგან კარგად აჩვენებს სწავლების პროცესში არსებულ პრობლემებს. ამ ფუნქციას გამოკითხულთაგან მხოლოდ კავკასიის უნივერსიტეტი ასრულებს.

თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესორების ტრენინგებითაცაა დაკავებული, თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის აზრით, ეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქცია არ არის. ამავე დროს, პროფესორთა უმეტესობა საჭიროდ მიიჩნევს, რომ მათ ტრენინგები ჩაუტარდეთ. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, კანონში პირდაპირ არ წერია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ევალება ტრენინგების ჩატარება და ვერც ეწერება, რადგან კანონში, ჩვეულებრივ, ასე დეტალურად არ იწერება სამსახურების ფუნქციები.

საერთოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებში პროფესორთა აქტივობების შესახებ დაგროვილი ინფორმაცია ნაკლებად განიხილება უნივერსიტეტებში, ხოლო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები პრაქტიკულად არ მონაწილეობენ აკადემიური პერსონალის შერჩევაში, გარდა ილიას და კავკასიის უნივერსიტეტებისა. არადა, ამგვარი, სავარაუდოდ საკმაოდ მდიდარი ინფორმაციის გათვალისწინება ნაყოფიერ შედეგებს მისცემდა უნივერსიტეტებს პროფესორთა შერჩევის გამუდმებული კონკურსების პირობებში.

საინტერესოა, აგრეთვე, რომ ხშირად, როგორც თავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, ასევე უნივერსიტეტების სხვა თანამშრომლები "უზრუნველყოფის" ნაცვლად ხმარობენ "მართვას", რაც, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, რომ მათ ბოლომდე არ ესმით ამ სამსახურის დანიშნულება.

სწავლის და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, იმავე კანონის მიხედვით, მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ საზღვარგარეთის შესაბამის დაწესებულებებთან მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამგვარი რამ ნაკლებად ხდება, ძირითადად, ინეტრნეტის საშუალებით ხდება დასავლური გამოცდილების გაცნობა, კავკასიის უნივერსიტეტი იყენებს ატლანტის უნივერსიტეტის გამოცდილებას (აშშ), ასევე, აკრედიტაციის ცენტრი და რამდენიმე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასახელებს საერთაშორისო პროექტს (ტვინინგი).

პროფესორები თვლიან, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები სტარტეგიული დოკუმენტაციის და შესაბამისი ინსტრუქციების შექმნისას არ ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს და არ ყავთ სტუდენტები ჩართული ამ პროცესებში. მათი აზრით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ბიუროკრატიული ორგანოები გახდნენ. აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებიც თვლიან, რომ უნივერსიტეტებში პროფესორები არ არიან სათანადოდ ჩართული აკრედიტაციის პროცესებში; თავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების ინტერვიუები აჩვენებს, რომ ისინი ნაკლებად აცნობიერებენ ამ პრობლემას. ამ კუთხით, ყურადსაღებია დასავლური გამოცდილება, სადაც სტუდენტებს, და განსაკუთრებით, დოქტორანტ სტუდენტებს, როგორც ყველაზე გამოცდილებს, ხშირად ეკითხებიან აზრს. ამავე დროს, სტუდენტური თვითმმართველობის ლიდერებს წინასწარ ტრენინგებს უტარებენ, რათა ისინი ჯერ გაერკვნენ სათანადო საკითხებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობები ძირითადად გამჭვირვალეა და შესაბამისი უნივერსიტეტების ვებგვერდებზე დევს. აქ გამონაკლისს წარმოადგენს თავისუფალი უნივერსიტეტი, რომელიც არ მიიჩნევს საჭიროდ ინფორმაციის ვებგვერდზე დადებას (რადგან მას, როგორც კერძო უმაღლესს, კანონი არ ავალდებულებს) და აწესებს, რომელსაც მიაჩნია, რომ აკრედიტაციის სამსახურში გაგზავნილი ყოველწლიური ანგარიშები მისი მუშაობის საჯაროობის მაჩვენებელია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უმეტესობას (აწესებს, თავისუფალი უნივერსიტეტის და ილიას უნივერსიტეტის<sup>3</sup> გარდა), აქვს შემუშავებული სტარტეგიული გეგმა, ან, მისი სტრატეგია უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ნაწილია. თუმცა, ინტერვიუს პროცესში რესპონდენტთა ნაწილი ვერ იგებდა კითხვას სტრატეგიის დოკუმენტის შესახებ, რაც, სავარაუდოდ, იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ამ დოკუმენტს არ იცნობენ და მის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღიათ, შესაბამისად, არც თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან. ხოლო, იქ, სადაც რესპონდენტები პასუხობდნენ კითხვას სტრატეგიული გეგმის შესახებ, საკმოდ ზოგად ფორმულირებას იძლეოდნენ, რომ ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს, თუმცა, რისი, არ ჩანდა და არც ის - როგორ.

<sup>3</sup> ილიას უნივერსიტეტს ეს დოკუმენტი შემუშავების პროცესში აქვს

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები თითქმის არ აკეთებენ პროგრამების გარე შეფასებას<sup>4</sup>, რაც, დასავლეთში გავრცელებული მიდგომაა. იქ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები გარე შეფასების ანგარიშს და მის რეკომენდაციას ითვალისწინებენ და ევალუბათ მასზე რეაგირება. ხშირად, რესპონდენტებს არც ესმოდათ დასმული კითხვა გარე შეფასების შესახებ, ანუ, მათ არც კი იციან, რომ ასეთი რამ არსებობს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ შესწავლილი უნივერსიტეტები ძირითადად საქართველოს სხვა უნივერსიტეტების გამოცდილებას იყენებენ და არა დასავლეთის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თსუ-ში როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ისე პროფესორებს ესმით ამ ხერხის მნიშვნელობა და საჭიროება, მაგრამ აღიარებენ, რომ ის ძალიან ძნელია განსახორციელებლად, ამ ეტაპზე საკმარისი რესურსი არ არის.

ხარისხის უზრუნველყოფის ყველა სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს აკრედიტაციის ცენტრთან და მის მითითებებს ასრულებს. აკრედიტაციის ცენტრი ღიაა თანამშრომლობისათვის, მისი დოკუმენტების და მოსაზრებების განხილვა ღიად ხდება, სპეციალურად ორგანიზებულ სამიტებზე, რომლებსაც ნებისმიერი უნივერსიტეტის წარმომადგენელი შეიძლება დაესწროს, მათი ინფორმაცია დროულად იდება ვებგვერდზე, ასევე ხშირია ცენტრთან პირადი კონსულტაციები, თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ცალკეული უნივერსიტეტების მოსაზრებებს აკრედიტაციის ცენტრი შედარებით იშვიათად ითვალისწინებს.

თავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ზოგიერთი წარმომადგენელი ისურვებდა, რომ მეტი ფინანსი ჰქონდეს კვლევის საწარმოებლად; რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ხარისხის გაუმჯობესებაზე სათანადოდ არ მუშაობენ - ფორმალური მაჩვენებლების გარდა, ხარისხის გაუმჯობესების შინაარსობრივ, სიღრმისულ მაჩვენებლებზე გადასვლის დროა; ამასვე ამბობენ, აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებიც. თუმცა, ისინი მიიჩნევენ, რომ ხარისხის შეფასების მხოლოდ რაოდენობრივი და ფორმალური მაჩვენებლებიდან უკვე გადავიდნენ შინაარსობრივი და თვისებრივი ელემენტების გათვალისწინებაზე და ამას თავისი მუშაობის მიღწევად თვლიან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა წევრს არა აქვს ერთნაირი ცონდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში, ეს, ალბათ, არც არის საჭირო, თუმცა, ძირეული, ფუნდამენტური საკითხები ყველას უნდა ესმოდეს, რაც, არ ხდება. ამ მიზნითაა სწორედ საჭირო სამსახურის წევრების ტრენინგი, თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების გამოკითხული წარმომადგენლების უმეტესობა, ვერ ასახელებს, კონკრეტულად რა ტრენინგები უდნა იყოს ეს. სწავლის შედეგების შესახებ ტრენინგები მიაჩნიათ საჭიროდ თსუ-ს, კავკასიის და ილიას უნივერსიტეტების წარმომადგენლებს.

საინტერესოა, რომ აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლების აზრით, მათ საკმარისი რაოდენობის ტრენინგები ჩაუტარდათ და დამატებით კიდევ სხვა ტრენინგებში მონაწილეობის სურვილი არ აქვთ. აკრედიტაციის ცენტრის

<sup>4</sup> გამონაკლისია კავკასიის უნივერსიტეტი და თსუ, თუმცა, აქაც ეს სისტემატურ ხასიათს არ ატარებს



ექსპერტებს კი, მათი აზრით, ტრენინგები ჭირდებათ კანონმდებლობის, სტანდარტების და ექსპერტთა ეთიკის კოდქესის თაობაზე.

აკრედიტაციის ცენტრი, ერთის მხრივ, დამოუკიდებელია, ხოლო მეორეს მხრივ, ნაწილობრივ მაინც პასუხისმგებელია განათლების სამინისტროს წინაშე. ცენტრის ზოგიერთი წარმომადგენელი ამგვარ დამოკიდებულებას პრობლემად მიიჩნევს.

უნივერსიტეტების შედარების მხრივ, გამოიკვეთა შემდეგი სურათი: შესწავლილი უნივერსიტეტები ძირითადად მსაგვსი სქემით მოქმედებენ და ერთმანეთის გამოცდილებას იზიარებენ, თუმცა, უცნაური ფორმით. ისინი უბრალოდ ვებგვერდიდან იღებენ არსებულ მასალას და ხშირად ცვლილების გარეშე. ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ არა ამ გზით.

განსაკუთრებით მსგავსია ილიას და კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქციები, ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურაა განსხვავებული, მის დაქვემდებარებაში შედის სასწავლო პროცესის სამსახურიც. ხარისხის საკითხში ყველაზე ნაკლებ გარკვეულობას ამჟღავნებენ თელავის და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტები, შედეგად, ისინი ცდილობენ ბუკვალურად მისდიონ აკრედიტაციის ცენტრის "რეკომენდაციებს". დიდი ზომის უნივერსიტეტებში განსაკუთრებით რთულია პროფესორების და სტუდენტების აქტიური ჩართვა და ინფორმაციის მათთვის დროულად მიწოდება.

მიმართება აკრედიტაციის ცენტრსა და უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის არის მაინც უფრო დაქვემდებარებული: ცენტრი ხშირად აღიქმება სამინისტროს ნაწილად და მისი "რეკომენდაციების" შესრულება სავალდებულოდ მიიჩნევა, შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები მსგავსი მიდგომით გამოირჩევიან თავიანთი პროფესორების მიმართ. ასევე, თავად აკრედიტაციის ცენტრი არის ნაწილობრივ დაქვემდებარებული სამინისტროზე, ანუ, სახელმწიფოზე. ესე იგი, მიუხედავად ამკარა მირწევებისა და ინოვაციებისა, მიუხედავად "ქვედა რგოლების" მონაწილეობისა, მთლიანად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროცესი არის "ზემოდან ქვემოთ" პროცესი. სახელმწიფო კარნახობს ცენტრს, ცენტრი კარნახობს უნივერსიტეტს, ხოლო უნივერსიტეტი კარნახობს პროფესორს.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ დასავლეთში აკრედიტაციის სააგენტოები შეფასების შედეგებს ატყობინებენ უნივერსიტეტებს და მათ რეკომენდაციებს აძლევენ. უნივერსიტეტები ვალდებულებები არიან შემდომი რეაგირება მოახდინონ მოწოდებულ რეკომენდაციებზე და მასზე დაყრდნობით, შექმნან სამოქმედო გეგმა, რომელშიც განვითარების ძირითადი მიმართულებები იქნება წარმოდგენილი. სააგენტოები ასევე ახორციელებენ სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგს. საქართველოში კი, ასეთი რამ არ ხდება.

თუ გავითვალისწინებთ უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმამდე არსებულ ქაოტურ მდგომარეობას, არსებობის 5 წლის მანძილზე ხუ სამსახურებმა

ნაწილობრივ უზრუნველყვეს სწავლების და თითქმის ვერ უზრუნველყვეს კვლევის ხარისხი. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მომავალი უნდა იყოს ის, რაზეც აკრედიტაციის სამსახური საუბრობს, მეტი აქცენტი შინაარსზე, ფორმალური მახასიათებლებიდან შინაარსობრივ მახასიათებლებზე გადასვლა.

## რეკომენდაციები

### სასურველია:

- უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებს უტარდებოდეთ ტრენინგები ქვეყნის მასშტაბით (მათ შორის, სვოტ ანალიზის), ხოლო, შემდეგ, გატრენინგებული წარმომადგენლები საკუთარ უნივერსიტეტებში მულტიპლიკატორის როლს შეასრულებენ;
- უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებს უტარდებოდეთ შეხვედრები ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით, შესაძლოა, უკვე არსებულ სამიტებზე დაეთმოს ამ თემას ცალკე დრო;
- შეიქმნას პორტალი, სადაც უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები აზრთა და გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლას მოახერხებენ;
- ტარდებოდეს მეტი ტრენინგი პროფესორებისათვის, სულ ერთია, ამას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები გააკეთებენ, თუ უნივერსიტეტების სხვა სამსახურები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა მეტი აქცენტი გააკეთონ პროგრამების და სილაბუსების შინაარსობრივ, და არა ფორმალურ მახასიათებლებზე;
- პროგრამების დამტკიცების ფუნქცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა სხვა ერთეულებს გადასცენ, ხოლო თვითონ უკვე არსებული, სხვების მიერ შექმნილი და დამტკიცებული პროგრამების შეფასებაზე გადავიდნენ და შეამოწმონ, რამდენად კარგად სრულდება ყვეალფერი, რაც ქაღალდზე წერია;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა და შესაბამისად, უნივერსიტეტებმა მეტი აქცენტი გააკეთონ კვლევის ხელშეწყობაზე;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა თანამშრომელს უნდა ესმოდეს უნივერსიტეტის მისია, უნივერსიტეტის და საკუთარი სტრატეგიული დოკუმენტების მიშვნელობა და იცოდეს მათი შინაარსი, სწორედ ესმოდეს განსხვავება ”ხარისხის მართვასა” და ”ხარისხის უზრუნველყოფას” შორის;
- სტუდენტების მეტი ჩართვა, მანამ კი, მათთვის ტრენინგების ჩატარება, რათა შეძლონ ინფორმირებული მოსაზრებების შემუშავება;
- პროფესორების მეტი ჩართვა, მანამ კი, მათთვის ტრენინგების ჩატარება, რათა შეძლონ ინფორმირებული მოსაზრებების შემუშავება;
- უნივერსიტეტებიდან ანგარიშის მიღების შემდეგ, ცენტრმა დაუბრუნოს რეკომენდაციები უნივერსიტეტებს და მიადევნოს თვალი, რომ შექმნან შესაბამისი სამქომედო გეგმა და და განახორციელონ ის;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა იფიქრონ სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებისათვის სათანადო კვლევების და შეფასების ფორმების განხორციელებაზე, როგორებიცაა, კოლეგების მიერ შეფასება, გარე შეფასება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ეცადონ მეტად გაითვალისწინონ და გაიზიარონ დასავლეთის გამოცდილება კვლევის და სწავლების გაუმჯობესების კუთხით.